# საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო.

**რედაქცია და კონტორა:** თბილისი, დამფუძნებელი კრების ქ. № 5 რედაქცია და კონტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 ს., ნაშუადღევის 2 ½ ნახ. საათამდის. ტელეფონი № 15—73. მისამართი დეპეშებისათვის: თბილისი „საქართველო“ ფოსტის ყუთი № 76

**განცხადებანი:** განცხადება მიიღება ნაშუადღევის 2 საათამდის. სტრიქონი პეტიტი პირველ გვერდზე 20 მ. მე-4 გვერდზე—15 მ. სამგლოვიარო განცხადებანი 30 სტრიქონი—700 მ. 2 ნახ. საათის შემდეგ 100 მანეთით მეტი.

**ხელის მოწერა:** გაზეთი „საქართველო“ ქალაქში და ქალაქს გარეთ ღირს თვეში—600 მან. ცალკე №—25 მან.

ფასი 25 მან.

წელიწადი მეექვსე. პარასკევი, ქრისტეშობისთვის 17. 1920 № 171



მოითხოვეთ ყველგან საუკეთესო ხარისხის

## კონიაკი

გაწმენდილი ყურის არაყი და ტკბილი სასმელები დ. ი. კალანდაძისა

ბითუმად და ცალ-ცალკე თვით ქარხანაში სადგურის (ვაგზლის) ქ. № 5.



## ცენტრობანკი

საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი, თავისუფლების მოედანი № 3.

თანახმად აქციონერთა საზოგადო კრების 28 ნოემბრის დადგენილების და მატ. ფინანსთა მინისტრის ნებართვისა

**გამოცხადებულია ხელის მოწერა ცენტრობანკის მეორე გამოცემის აქციების რიცხვით კიდევ**

## 30,000 აქცია

### შემდეგი პირობებით:

1. თითო აქციაზედ შემოტანილ უნდა იქნას წარნდგული ღირებულება—1000 მ. და საორგანიზაციო ხარჯებისა და სარეზერვო თანხისათვის კიდევ 200 მან., სულ—1,200 მან.
2. ძველი აქციის პატრონს ნება ეძლევა თითო ძველ აქციაზედ მიიღოს თითო ახალი აქცია. ამ უფლების გადაცემა ან გაყიდვა აკრძალულია.
3. ფულები უკლებლივ და ერთიანად უნდა შემოტანილ იქნას პირდაპირ ცენტრობანკში, ან მის განყოფილებებში ბათუმში, კონსტანტინოპოლში და ბორჯომში 5 ამა დეკემბრის დღის ორ საათამდის.
4. ვინც ამ ვადას გაუშვებს ის ჰკარგავს უფლებას ახალი აქციების შეძენის უპირატესობისა.
5. 16 დეკემბრიდან დარჩენილი აქციები გამგეობის მიერ გაიყიდება გარეშე პირებზედ.
6. მეორე გამოცემის აქციებს ამ 1920 წლის დივიდენდში წილი ა უდევს.

ცენტრობანკის გამგეობა.



## იმერეთის სავაჭრო-სამრეწველო სამეურნეო ბანკის

(ქ. ზესტაფონში) (იმერბანკის) (ქ. ზესტაფონში)

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 9 დეკემბერს ხსენებული ბანკის წესდება დაამტკიცა. ძირითადი თანხა ბანკის პირველ ხანად არის განსაზღვრული 3 (სამი) მილიონი მანეთით, თითო აქცია ღირს 1000 (ათასი) მან, ხუთი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას.

ხელის მოწერა მიიღება ამა დეკემბრის 15-მდის ქ. ზესტაფონში საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში და ხელის მოწერისათანავე უნდა იქნეს შემოტანილი თითო აქციაზე ღირებულების ნახევარი 500 მანეთი და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად 50 მან აქციაზე.

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ აქციონერთა პირველი დამფუძნებელი

## კრება

დანიშნულია ამა წლის 19 დეკემბერს ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბინაზე დღის 12 საათზე

**განსახილველი საკითხები:**

1. საორგანიზაციო კომიტეტის მოხსენება.
2. 1921 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება
3. ზესტაფონის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისაგან აქტივისა და პასსივის მიღება.
4. არჩევნები საბჭოსა, გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა და
5. მიმდინარე საკითხები.



## სამთო სატეხნიკო კურსები.

სამთო მადნო სამმართველოსთან არსდება ერთ წლიანი სამთო-სატეხნიკო კურსები. მეცადინეობა საღამოთია. მიიღებიან არა ნაკლებ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი **სწავლა დაიწყება 20 დეკემბერს.** თხოვნების მიღება და ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9—3 საათამდე სამმართველოში პეტრე დიდის ქუჩა № 10, ტელეფონი 2—44.

სამთომადნო სამმართველოს უფროსი ივ. ყიფშიძე.



სახელმწ. თეატრი.

## ოპერა

პარასკევს, 17 დეკემბერს სიმფონიური კონცერტი ბოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით.

შაბათს 18 დეკემბერს მუშებისთვის სიმფონიური კონცერტი ბელოუსოვის და ბოროვსკის მონაწ.

კვირას, 20 დეკემბერს „ფრა-დი-ვოლო“

ოპერის დასაწყისი საღამოს ზუსტ 8 საათზე.



გამოცდილი რეპეტიტორი სტუდენტი

## იღებს გაკვეთილებს

სასურველია დილის საათები

მისამართი ეროვნ. დემოკრ. ბიურო (სასახლ. ქ. № 5) ტელეფ. № 3-02 გამოელაპარაკეთ 10-2 საათამდე.

# გაზ. „საქართველო“-ს

აგენტების საყურადღებოდ

**თელავი, გორი, ფოთი, ბათომი, სამტრედია.**

გაზ. „საქართველო“-ს კონტორა კატეგორიულად აცხადებს, რომ ყველა იმ აგენტებმა, რომელთაც არ წარმოუდგენიათ მიღებულ გაზეთების ანგარიში, რომელთაც არ დაუბრუნებიათ დარჩენილი გაზეთები, აცნობონ ამის შესახებ დაწვრილებით კონტორას და გაასწორონ ანგარიშები:

**წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთები აღარ გაეგზავნება.**


# დღეს

ბულგარეთი ერთა ლიგაში მიიღეს.

ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე გადაწყდა საერთაშორისო სასამართლოს დაარსება.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკით უკმაყოფილო დამოუკიდებელ სოციალისტებმა რეიხსტაგში შეკითხვა შეიტანეს.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ევროპასა და საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობებს რადიო დეპეშით აცნობა, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთის საბჭოთა მთავრობის რუსეთ-საქართველოს შორის აქტიფაში დადებულ ხელშეკრულების ყოველ ნაბიჯზე არღვევს.

## წერილები


სპ. კედია: საზოგადოებას.
ჩიჩერინის დეპეშა.
პრესსა.
მგელი და კრავი.
ჩვენი დროის გაკვეთილები.
ია კარგარეთელი: ბეეთჰოვენი.
ჩვენი კორესპონდენტები. თერჯოლის თემი.


## საზოგადოებას.

ჩვენში შეუძლებელი ხდება თავისუფალი აზრი და მსჯელობა. ის რეპრესია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩვენი გაზეთის წინააღმდეგ, მიიღო, მოწმობს მხოლოდ იმას, რომ მთავრობა ვერ ითმენს მისი მოქმედების არამც თუ დაფასებას, არამედ ამ მოქმედების და მასთან დაკავშირებული გამოძახილის ფაქტიურ აღნუსხვასაც—კი!

ჩვენი გაზეთი დაიხურა იმ ფაქტიური მასალის გამოქვეყნებისათვის, რომელიც შეეხებოდა მთავრობის თავმჯდომარის და საქართველოს კათალიკოზ პატრიარქ შორის მომხდარ ინციდენტს გელათის თაობაზედ.

მაგრამ „საქართველოს“ დაკეტვა არ გვაკმარეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ საზოგადოთ ბრძოლა გამოუცხადა ჩვენი მიმართულების ყოველ გამოცემულ გაზეთს.

მან დახურა „ახალი საქართველოც“, მასში მოთავსებული ერთი „პატარა ფელეტონისთვის!“

არც ეს გვაკმარეს! იმავე სამინისტრომ ფაქტიურად შეაჩერა გაზეთი „ივერია“ იმით, რომ დახურვით დაემუქრა იმ სტამბას, სადაც იგი აიწყო და დაიბეჭდა. ყველა სხვა სტამბაც დაკეტვის ტერორმა შეიპყრო და გაზეთის აწყობაზედ უარი განაცხადეს. ამგვარად, შინაგან საქმეთა მინისტრმა მოგვისპო საშუალება ჩვენი აზრის გამოთქმის. ჯერ არც გვაკმარა ბ-ნი შინაგან საქმეთა მინისტრი ისე შორს წავიდა რომ წინადადებაც კი მოგვცა(!) ზოგიერთ საკითხზე კრინტი არ დაგვეძრა განახლებულ „საქართველოში!!!!“

ამაზედ შორს ვერ წავა დაცინვა პრესის თავისუფლებაზე!

ჩვენი აზრი არასოდეს არ დაგვიქვემდებარებია ძლიერთა ამა ქვეყნისათა ნება-სურვილისათვის. პრესის თავისუფლების ამგვარ შეურაცყოფას ჩვენის მხრით არც არასოდეს მიიღებს. ეს დაგვითმია დემოკრატიულ რესპუბლიკის მინისტრისათვის.

ჩვენი შეხედულება ჰყოფილა და დარჩება იმ ერთად-ერთ კრიტერიუმად, რომელიც აყალიბებს ჩვენს აზრებს და ამკვიდრებს ჩვენს პოზიციას ამა თუ იმ საკითხში. ჩვენ არ გვქონია და არც შემდეგშიაც ვივლით იმ იდეოლოგიის ხაზით და არც იმ სოციალ-ზნეობრივი შემეცნებით, რომლითაც მიდიოდა ბ-ნი ნოე რამიშვილი, როგორც მოღვაწე-სოციალ-დემოკრატი ძველი რეჟიმის დროს, ან რომლითაც მიდის იგი დღეს, როგორც საქართველოს მინისტრი, როგორც სახელმწიფო—კაცი!

ჩვენ ის კი არ გვაკვირვებს, რომ თავისუფალი სიტყვა და აზრი ვერ იტანა „სატრაპმა“, არამედ ის რომ „სატრაპი“ ირიბულად მოქმედობს და ვერ ბედავს პრესსას აშკარად თავს დაესხას წინასწარი ცენზურით!..

სპ. კედია.

## ჩიჩერინის დეპეშა.

საბჭოთა რუსეთის ანგარიში მარტივია: დღეს რად არ უნდა აღასრულოს თავისი იმპერიალისტური გულის ნატვრა, რად არ უნდა შემოუტიოს საქართველოს თავისი დაგროვილი და ბრძოლისაგან შესვენებული ძალებით—დღეს, როდესაც აზერბაიჯანშიც მისი ველიკოროსული ხელმწიფობა ბატონობს და სომხეთშიც, დღეს, როდესაც იგი საქართველოს ტანს სამი მხრით ზედ სარტყელივით შემორტყმია.

თუ დამოუკიდებელი საქართველო მის იმპერიალიზმისთვის საზოგადოთ შეუწყნარებელი იყო, დღეს იგი საქართველო საბჭოთა რუსეთისთვის პრაქტიკულად და ორგანიულად აუტანელია.

როდესაც მთელი იმიერ—და ამიერკავკასია საბჭოთა რუსეთის თათის გარეშე იყო, მაშინ საქართველოს თვითარსებობასაც პრაქტიკულად აშორებული ჰქონდა საბჭოთა რუსეთის თავდასხმა.

ხოლო როდესაც იმიერ-კავკასია დენიკინმა თავის თათებში დაიჭირა, ტროცკის წითელმა ჯარებმა ბედი სცადეს საქართველოს მიმართ, მაგრამ მწარე გაკვეთილის შემდეგ უკუ წაიღეს თავისი იერიშები. როდესაც იმიერ-კავკასიას მიემატა ამიერ-კავკასიაც აზერბაიჯანის სახით, მაშინაც ტროცკის ჯარები საქართველოს წინააღმდეგ ფიცხელი იერიშით წამოვიდნენ. მაგრამ აქაც დამარცხება იგემეს და სამშვიდობო (!) ხელშეკრულება დაგვიდვეს. ეხლა სომხეთის ხელში ჩაგდებით და იქაც ველიკოროსული ბოლშევიზმის ხელმწიფების დამყარების შემდეგ, საბჭოთა რუსეთი შეეცდება საქართველოს წინააღმდეგ მორიგ მესამე გამოლაშქრებას. დღეს პირობებიც უკეთესი აქვთ: არსად სხვა ფრონტი, არც საშინაო და არც საგარეო. თანაც მთელი იმიერ-კავკასია და ამიერისა ორი ნაწილი სომხეთი და აზერბაიჯანი მის ხელშია. სოლივით ჩაჭრილია მარტო საქართველო, რომელთანაც სამი მხრით უშუალო კონტაქტი აქვს და რომელიც ერთად-ერთი დაბრკოლებაა საბჭოთა რუსეთის მასსიური დაძვრისათვის სპარსეთ-ინდოეთისკენ! თუ საბჭოთა რუსეთის სხეულმა ეს სოლი ვერ მოინელა, მისი სხეული დამბლა დაცემული დარჩება, მისი მსოფლიო ანარქიის გამომწვევის გეგმა დაბნეული და მისი წმიდა რუსული იმპერიალიზმი გაწყვეტილი თავის პრაქტიკულ მიმდინარეობასა და განხორციელებაში! საქართველოს დამოუკიდებლობის სიყვარულით, საბჭოთა რუსეთი ამ თავის არსებით მიზანზე ხელს ვერ აიღებს. ამიტომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ იარაღის აღლარუნება მხოლოდ მომენტის საკითხია და სხვა არაფერი.

შეიძლება ლენინ-ტროცკიმ ფიცხაც ბევრი იფიცოს, შეიძლება ჩიჩერინ-კარახანმა გეგეჭკორ-ურატაძეს კეთილმეზობლობის და მშვიდობიანობის ხელშეკრულებაც დაუდვას, შეიძლება კიდევ მეტი დემონსტრაცია და ეფექტები მოახდინოს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ თავის დიპლომატიურ ურთიერთობაში ინგლისისა თუ სხვების მიმართ საქართველოს დამოუკიდებლობის და სუვერენობის სასარგებლოთ,—მაგრამ ეს მოვლენათა არსებას ვერ შეცვლის. საგანთა ლოღიკა და საბჭოთა რუსეთის მთავრობის ბუნება მაინც თავისას გაიტანს და მისი შეიარაღებული ძალები საქართველოს წინააღმდეგ იარაღს ხელახლავ

ეს ჩვენ კარგათ უნდა ვიცოდეთ და არა გვგონია ჩვენში იყოს რომელიმე პასუხისმგებელი პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამაში დარწმუნებული არ იყოს და რომელიც ამის და საპასუხოთ არ ამზადებდეს თავის საკუთარ ძალებს და სხვებსაც არ აფრთხილებდეს.

და დიახაც! მთელი ქართველი ერი ემზადება უზენაესი სხვერპლის გასაღებად, რომ დაიცვან სამშობლოს საზღვრები და მისი დამოუკიდებლობა. საბჭოთა რუსეთმა ვერ იხეირა ვერც ერთ ბრძოლაში, რომელიც მან გაუმართა რუსეთისაგან გამოყოფილ და სახელმწიფოებრივი ტრადიციის მქონე ერებს. საქართველო კიდევ უფრო გაკაჟებულია დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ტრადიციაში. ათეული საუკუნეები მას იარაღით დაუმარცხებია და მტერთან ბრძოლაში მას შესვენება არა ჰქონია!

საქართველოს კულტურა და სახელმწიფოებრიობა უფრო ხანგრძლივია, ვიდრე რომელიმე სხვა ერის, რომელიც რუსეთს გამოჰყოფია, ან რომელიც ვითამიდანაც დამოუკიდებლად არსებობს ევროპის ტერიტორიაზედ!

საქართველო ვაგლახათ არ დასთმობს თავის დიდებას, თავის ტრადიციას, თავის სიცოცხლეს. იგი არავის თავს არ ესხმის, მაგრამ თავდაცვისთვის იგი უკვე მზად არის... ჩიჩერინის ყოვლად უტიფარი დეპეშა, ვითომც საქართველომ დაარღვია საბჭოთა რუსეთთან კეთილმეზობლობა და ამიტომაც მას ბაქო ნავთს არ გაუგზავნისო,—კიდევ უფრო დაარწმუნებს ქართველ ერს, რომ რუსეთის ფიცი და ხელშეკრულობა სანდო არ არის და რომ საბჭოთა რუსეთიც ვერაგობას ისევე ჩაიდენს, როგორც ეს ჩაიდინა მონარქიულმა რუსეთმა 1801 წელს!!

ეს იცის ქართველმა ხალხმა და ამიტომაც იმ დროისთვის, როდესაც საბჭოთა რუსეთის წითელი ბანდები საქართველოს საზღვრების გადმოლახვას განიზრახვენ.

ქართველმა საზღვრიდან დახევა არ იცის.

იგი ან იქ მოკვდება, ან მტერს არ შემოუშვებს.

ჩიჩერინის დეპეშა გვაფრთხილებს, რომ საჭიროა მზადების გაძლიერება!

# პრესსა.

## „საქართველო“ დახურეს, „კომუნისტი“ გამოდის!

„კომუნისტს“ უკვე მოთმინება დაუკარგავს! ჩვენ ვიცით, რომ მოსკოვის მთავრობის ქართველი აგენტები აუღელვებლად ვერ ურიგდებიან თავის უძლურებას საქართველოში, მაგრამ ჩვენს საზღვრებთან მდგომი რუსეთ-ხომხეთ აზერბაიჯანის ერთიანი წითელი ლაშქარი, მაინც უსახავს მათ იმედებს და სული ველარ უძლებით, რომ ასეთ სტრიქონებში არ გამჟღავნონ თავის გულის ნადები:

„არ ვფიქრობთ აჯანყების საწამლავით დავაჩქაროთ სიკვდილი იმ მომაკვდავი პარტიისა, რომლიდანაც ძალა-უფლება მემკვიდრეობით გადმოვა ჩვენს ხელში“...

„კომუნისტი“ არც ისე სულელია, რომ დღევანდელ მდგომარეობაში განაცხადოს რომ აჯანყებას ვამზადებთ—იგი, მხოლოდ აცნობებს ამხანაგებს, რომ ძალაუფლება მალე გადმოვა მათს ხელში და ასე ამშვიდებს იმ ხალხს, ვინც წორეთ აჯანყების მომზადებისათვის არიან დღეს ციხეებში დამწყვდეული:

„ჩვენს დროში ციხიდან სასახლემდე და იქიდან უკუ—ციხემდე—მხოლოდ ერთი ნაბიჯია!“

ესე იგი: ვინც დღეს სასახლეშია, იგი მალე ციხეში წავა, ვინც დღეს ციხეშია, ის სასახლეს იხილავს.

ასეთ მოწოდებით მიმართავს ქართველ ხალხს გაზეთი „კომუნისტი“, ხოლო მის უკან კი, ხალხში იფანტება მომხვდელი ლოზუნგები, ათასგვარი დაპირებანი და უცხო კაპიტალი!

და ეს ხალხი, რომელიც მთელის თავის არსებით საქართველოს სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მოქმედობს, უცხო კაპიტალის და ჯარის საშუალებით, სრული თავისუფლებით სარგებლობს ჩვენს ქვეყანაში!

და ამავე დროს ბატონი ნოე რამიშვილი თავის „რკინის ხელით“ ხურავს ჩვენს გაზეთს და რამოდენიმე დღის განმავლობაში ადუმებს მთელი არა სოციალისტური საქართველოს ხმას.

ბატონი რამიშვილი თავის განკარგულებით აჩერებს გაზეთ „საქართველოს“ მისთვის, რომ ვერ შესძლო ჩუმათ ეტარებია აშკარა ძალმომრეობის აქტი და ერის მორწმუნე ნაწილის წმინდა გრძნობათა უტიფარი შეურაცყოფა.

და როდესაც ლამობენ ჩვენ ხმა ჩაგვიწყვიტონ, თბილისში თავისუფლად გამოდის გაზეთი „კომუნისტი“ და მისი რედაქცია არამც თუ თავისუფალია ბატონ რამიშვილის აგენტების დარბევისაგან, სამხედრო სამინისტროს სტამბითაც კი სარგებლობს!

ამავე დროს ბატონი რამიშვილი თბილისის სტამბებს უკრძალავს არა-სოციალისტურ გაზეთ „ივერიის“ ბეჭდვას, მიუხედავათ იმისა, რომ ეს გაზეთი დახურული არ არის!

თავისუფლად გამოდის „კომუნისტი“ და ხალხს აჯანყებისათვის რაზმავს, ათასგვარ პროვოკაციას თხზავს და სამოქალაქო ომისათვის ნიადაგს ამზადებს!

ეს არის ბ-ნ მინისტრის „სახელმწიფოებრივი“ პოლიტიკა?

## „დალუნული“ თავებით.

ჩვენი სოციალ-დემოკრატია სრულებით მოკლებულია სირცხვილის გრძნობას!

მისგან ვერასოდეს მოისმენთ შეცდომის აღიარებას და რა რიგ დამღუპველი არ იყოს მათ მიერ გადადგმული ნაბიჯი, იგი ვერ გაბედავს შეცდომის აღიარებას და ვერც თავს იკავებს განმეორებითი შეცდომებისაგან.

და ესე, ინერციით, ქვევით და ქვევით მიექანება!

ვინც 14 ქრისტეშობისთვეს დამფუძნებელი კრების სხდომას დაესწრო, არ შეეძლო არ შეემჩნია სოციალდემოკრატების დალუნული თავები და მიფითრებული სახეები:

ე' იყო მხოლოდ პასუხი ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლის მიერ წარმოთქმულ სიტყვაზე.

ფაქტი, ფაქტს მოსდევდა და საბუთების ულმობელობა თავისით სპობდა ყოველივე შესაძლებლობას სოც.-დემოკრატების პასუხისას.

და ეს პასუხი არც არავის სმენია, რადგან ბ-ნი ერაძე ტრიბუნაზე არავის უშვებს და მხოლოდ მისი უხეირო ვექილი ბ-ნი თევზაია დაიწვა თავისი სიტყვებით ისე, რომ მის ცეცხლს ერაძის მეტი არავინ აუნთია.

და როგორ შეხვდა ამ ამბავს გაზეთი „ერთობა“?

გუშინდელ № ში, თავისი „განის“ პირით, ასეთი რიხით სწერს:

„არა ერთხელ გვითქვამს, რომ სამწუხაროთ, ჩვენ, როგორც პარტიას, ისეთი მოწინააღმდეგენი გვყავს, რომელთან ბრძოლა მუდამ „დალუნული“ გვიხდება.

— ამის საუკეთესო მაგალითია ის კამათი, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს დამფუძნებელს კრებაში მთავრობის განცხადების გამო!..“

განა ამაზედ მეტი უტიფრობა შეიძლება?

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ორატორმა ვერ იპოვა ვერც ერთი საბუთი, რომლითაც შესძლებოდა ბ ნ ს. კედიას წამოყენებულ ბრალდებათა უარყოფა და ვერ შესძლო მოეხსნა ერაძის ს. ხელისაგან

— ქურდების მფარველის,

— ბოროტმოქმედთა დამცველის

კონტროლისგან „განდგომილის“ სამარცხვინო ეპიტეტები.

და ბ-ნი „განი“ კიდევ ლაპარაკობს „დალუნულ“ ბრძოლაზედ.

ბ-ნი „განი“ და მისი ამხანაგები ვერც ვერასოდეს გასწორდებიან, რადგან მაშინ თვალში უნდა შეხედონ სინამდვილეს და იგი კი უდიდესი საშინელება სოც.-დემოკრატიისათვის.

## „მგელი და კრავი“.

კრილოვის არაკის მგელმა კრავის შეჭმა რომ მოინდომა, შარი გამოსდო მას და ათასნაირი შეცოდებანი გადააბრალა. რასაკვირველია, არც ერთს მათგანში განწირულ კრავს ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ მაგარიც ის იყო, რომ .. მგელს ჰშიოდა!

რუსეთის სიხარბე ისტორიულად ცნობილია: დიდმპყრობელობითი განზრახვებს ყველა სახის რუსეთი ატარებდა და მემკვიდრეობით ბოლშევიკებს გადაელოცა. რუსეთის რესტავრაციას ბოლშევიკები ისეთისავე გულმოდგინებით შეუდგნენ. როგორც ლამობდენ სხვა მიმართულების რუსები, მონარქისტ—„მოხალისეებიდან“ დაწყებული სოც. დემოკრატებამდე.

კავკასიაში ამოცენებული სახელმწიფოები ბოლშევიკებმა უკვე „გადაყლაპეს“. ჯერი მიდგა საქართველოზე. მოსკოვის გამგებლებმა იციან კარგად, რომ ვიდრე საქართველოს „ჩაყლაპავენ“, ბევრი წვეტიანი ძვალი გაეჩრებათ ხახაში, ამიტომ ყოველივე ღონეს ხმარობენ ჩვენი სახელმწიფო სხეულის შესასუსტებლად.

ასევე გვეპყრობოდა მისვენებული მოხალისეთა არმია: გენერალ დენიკინმა ბლოკადით შეჰკრა საქართველოს სანაპიროები და ეკონომიური „კრახის“ მეოხებით ჰსურდა წაეჩოქებინა თავისუფალი ქართველი ხალხი რუსეთის წინაშე.

ეს „ჰირი“ აგვცდა!

დღეს მეორე ჯურის მპყრობელები—უკიდურესი სოციალისტებიც—ნაცადი გზით უვლიან საქართველოს დამოუკიდებლობის სიმაგრეებს. რუსეთის ბოლშევიკებმა ყველა ზომები ამოწურეს: ზარბაზნებს გვიშენდნენ, პროვოკაციებს გვიწყობდნენ, მილიარდებს აბნევდნენ ჩვენი მოსისხლე მტრების ხელში, საქართველოს ქვეშევრდომებს აქეზებდნენ თვისი სამშობლოს დასამხობათ,—მაგრამ ვერას გახდნენ..

ბოლშევიკები აშკარა შარზე დგანან: ასეა, თუ ისეა, მაინც მტყუანი ხარო, უთვლიან საქართველოს და მოსკოვიდან განკარგულებას აძლევენ „დამოუკიდებელ“ აზერბაიჯანს ჩვენთვის ნავთის შეწყვეტისათვის.

ჩიჩერინის ნოტაში გამოთქმული ბრალდება საქართველოს წინააღმდეგ თავიდან ბოლომდის უსირცხვილო ჭორია. არაფითარი იმისი მსგავსი, რასაც ლაზღანდარულად სჩმახავს ეს რაღაც უცნაური დიპლომატი, არ მომხდარა და საქართველოს მთავრობასაც არ გამოუცია არც ერთი აქტი ბოლშევიკებთან დადებული ხელშეკრულების საწინააღმდეგო! ყველა ეს მხოლოდ მიზეზია, უბრალო შარია, რომ ეხლა მაინც აღასრულონ „დღისა და ღამის ნანატრი“ და დაამხონ მათთვის მიუღებელი დამოუკიდებელი საქართველო!

ჩიჩერინს საზოგადოთ არა სწყალიან ჭკუიან დიპლომატად, მაგრამ ამ მის უკანასკნელ „ნოტას“ ჭკუს გარდა „სინდისიც“ ჩამორეცხილი აქვს.

ჩიჩერინი ჰთხზავს ტყუილს და მაზე აშენებს დიპლომატიურ წერილს უცხო სახელმწიფოს სახელზე. მას არც კი გაეგება, რომ უკანასკნელი „ნოტით“ ის ჰლახავს საერთაშორისო უფლების ელემენტარულ ნორმებს და უდიერად ერევა საქართველოს შინაურ საქმეებში! ვინ ჰკითხავს მოსკოვის კომუნისტებს, რა წესები გვაქვს რკინის გზებზე, ან როგორ უნდა მოვეპყრათ ისეთ ადამიანებს, რომელნიც იარაღით დატვირთულნი იპარებიან საქართველოს საზღვრებში?

შარზე დგას მოსკოვი!

ერთი გარემოება კი არ მიიღო მან მხედველობაში:

აზერბაიჯანის და სომხეთის „გაწითლება“ დიდ იმედებს არ უნდა უღვივებდეს მოსკოვს: საქართველოს არ გამოადგება უცხოეთის „უმარილი“...

ჩიჩერინმა თავი უნდა მიანებოს „ნოტების“ გზავნას და უმჯობესი იქნება ურჩიოს თავისიანებს, რომ ხელი აიღონ იმპერიალისტურ განზრახვებზე და მოხსნან საქართველოს სანაპიროებზე შეჯგუფებული კომუნისტური ჯარი...

## ჩვენი დროის გაკვეთილები.

„პირველი მრავალ ათასიანი მიტინგი სომხის მშრომელი ხალხისა ერევანში“, იმ ხალხისა, „რომელიც ამიერიდგან მტკიცედ და გადუხრელად დაადგა კომმუნიზმის ფართო გზას მხურვალე სალამს უძღვნის რუსეთის ბოლშევიკების მოღვაწეებს: ლენინს, ტროცკის და სხვებს“.

სომხის ხალხი უეცრად და თავისთავისაც მოულოდნელად გაკომუნისტდა! მოელოდებოდა ამას ვინმე, ვისაც ცოტად თუ ბევრად შესწავლილი აქვს სომხეთის საზოგადოებრივ აზროვნების განვითარების ისტორია? და ვინ არ იცის, რომ ეს „გადატრიალება“ და გაკომუნისტება სახელმწიფოს მთელი ხალხისა მოხდა ამ ხალხის ჯარეშე და უნებურად!..

დაშნაკცუტიუნი ათეულ წლობის მანძილზე უკონკურენციოდ განაგებდა სომხეთს. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ორად გახლეჩილი სომხობა სახელმწიფოებრივად ორ დესპოტიას ეკუთვნოდა და სხვა და სხვა პარტიების სახსენებელიც არ იყო, დაშნაკცუტიუნი მაინც უნივერსალურ მოვლენას წარმოადგენდა, როგორც რუსეთის სომხობაში, ასევე ოსმალეთისაშიც. მაგრამ არასდროს ისე ძლიერი და უკონკურენციო არა ყოფილა დაშნაკცუტიუნის პარტია, როგორც უკანასკნელ ხანებში და სომხეთის გაკომუნისტების რამდენიმე საათის წინადაც!

ამ ზედაპირზე არაფერი ხდება და სომხეთის ფორმის ცვლილებაც თავის ჯამართლებას შეიცავს, მაგრამ ჭკუის სასწავლებელი და დამაფიქრებელი ამ ფაქტში ბევრია... და არა მხოლოდ სომხებისათვის! მასსაზე, ხალხის დუნდგოზე უფრო კაპრიზი მოვლენა სოციალურ სფერო მ სხვა არ იცის! „ქურდმოქროლი“ და ერგული ადეპტი ... ... ლოდ ამსხვრევს, რა წამსაც დარწმუნდება, რომ არსებული სოციალ პოლიტიკური ვითარება განწირვის გზაზე დგას და მას ეჯახება რეალურად უძლავრესი მოვლენა...

ნურავინ დაიკვეხებს მასსებზე ბატონობას! ვერც ერთი პოლიტიკური მიმართულებისათვის მისი განუსაზღვრელი გავლენა ხალხზე ვერ გახდება დამაარხეინებელ საბუთად, რადგანაც დღევანდელი მორჩილი და მათაყვანებელი ხვალ ამ მიმართულების „წარმქცევავი“, თუ კი ეს გამოწვეულია „ობიექტიური აუცილებლობით“, თვითონ მიიღებს აქტიურ მონაწილეობას. სამლოცველო კერპს უსიტყვო მათაყვანებელის „ქვათა შენა“ ხშირად უნახავს... ყველაფერი წარმავალია და მაშასადამე, პოლიტიკური ბატონობაც და პარტიების წრეს გადასული გავლენაც!!!

„მეფე ვარ და მონა, ჭია და ღმერთი“ ამბობდა რუსი მწერალი...

ისტორია-წარსულიც და ჩვენი დროისა მით უმეტეს თვალსაჩინო გაკვეთილებს იძლევა მოვლენათა ცვალებადობისას და მხოლოდ განგებ დაყრუებული არაფრად აგდებს მას.

საქართველოს ბჭეს მოადგა ახალი ძალა, რომელიც აღმოსავლეთში ლამობს იმავ წესების შექმნას, რითაც სავსებით აღმოფხვრილია მის სამშობლო-რუსეთში კულტურის სულ მცირე ნასახიც კი! ჩვენს სახელმწიფო საზღვრებს მოეკვრნენ ისეთი ჯურის ხალხნი, რომელნიც გაბედნიერებას ჰპირდებიან მთელს ქვეყანას! მათი ფეხის ხმას ხალისით აჰყვნენ აზერბაიჯანელები და სომხები! ჰამბლები და მეჯოგეები გაკომუნისტდნენ! ტყუილად კი არ სწერს კარლ კაუცკი თავის ქართულ წიგნში: „შემცდარია ის აზრი, თითქოს დემოკრატია და საზოგადოთ ხალხის უმრავლესობა ყოველთვის მართალი იყოს“. როდის უფრო მართალია აზერბაიჯანელი: მაშინ, როდესაც მუსსავატის წიაღში განისვენებდა, თუ დღეს, როდესაც კომუნისტებს „ბელიალას“ შესძახის! „სომხის დემოკრატია“ გუშინ „შეგნებული დაშნაკელი“ იყო, დღეს კი ისევე „შეგნებულად“ გაკომუნისტდა!

აზერბაიჯან სომხეთის ამბებს საქართველოსაც უპირებენ კომუნისტები—უცხოელებიც და ჩვენებიც... ეს უნდა აფიქრებდეს მმართველ პარტიას, რომელსაც უსიტყვოდ მისდევს „ქართველი დემოკრატია“... კომუნისტი „პურს და პერანგს“ ჰპირდება მშიერსა და ტიტველ დემოკრატიას... სხვა კითხვაა: მისცემენ ყველა ამას ჩვენს ხალხს ალთქმის მიმცემნი. რუსეთის მაგალითი გვეუბნება, რომ კომუნისტების ბატონობა კიდევ უფრო გაადატაკებს ხალხს...

მაგრამ მასსა... „ყოველთვის მართალი არ არის“...

ქართველი ხალხის ყოფაქცევა კი ჩვენის აზრით, დამოკიდებულია მის მმართველების ყოფაქცევაზეც... ასეთ გადამწყვეტ ხანაში მმართველები უნდა ერიდებოდნენ სულ მცირე უკმაყოფილების გამომწვევ აქტებსაც. არის კი ასე?...

რ. ინგილო.

# საქართველო და საბჭოთა რესპუბლიკები

## ჩიჩერინის დეპეშა.

(საქ. არ. რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ბიულ.)

ნავთის შეწყვეტა საქართველოსათვის.

მოსკოვი. 9 დეკ. ვინაიდან საქართველოს მთავრობის მოქმედება, რომელიც იმაში გამოიხატა, რომ დაკავებულ იქნა რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლის სომხეთში—ლეგრანის მატარებელი და აგრეთვე აღიკრძალა თავისუფალი ტრანზიტი სომხეთში, არ ეთანხმება რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. დადებულ ხელშეკრულებების მიერ ნაგულისხმევ მეგობრობას და კეთილ მეზობლობას,—ამიტომ ნავთის გატანა საქართველოში ბაქოდან აღკრძალულია.

ამ ნოტას გაზ. „ერთობა“ შემდეგს შენიშვნას უკეთებს.

„ამ ცნობების შესახებ ჩვენ უნდა განვაცხადოთ შემდეგი: სარწმუნო წყაროებიდან ვიცით, რომ სურსათისა და საცრანზიტო საქონლის დაკავებას სომხეთისათვის ადგილი არა ჰქონია. არ ყოფილა არც ერთი ასეთი შემთხვევა. პირიქით, სომხეთში მომხდარ გადატრიალების შემდეგ, სახელდობრ, 7 დეკემბერს ჩვენმა მთავრობამ სომხეთის ახალ მთავრობას და საბჭოთა მისიას განუცხადა, რომ სომხეთის წინანდელ მთავრობასთან დადებული ყველა ხელშეკრულობანი ძალაში დარჩებიანო.

რაც შეეხება ლეგრანის მატარებლის დაჭერას, ესეც სინამდვილეს არ შეეფერება. ადგილი ჰქონდა მხოლოდ შემდეგს: ლეგრანის მატარებელს თან მოჰყვებოდა შეიარაღებული ხალხი. სადგურზე გაჩერებისას შეიარაღებული პირები გამოდიოდენ ვაგონებიდან და აგიტაციას ეწეოდენ ჩვენი მთავრობისა და წესწყობილების წინააღმდეგ. რკინის გზის მილიციამ მათ მოსთხოვა აგიტაცია შეეწყვიტათ. მან არ იცოდა შეიარაღებული პირების ვინაობა და სანამ ეს გამოირკვეოდა, ნახევარი თუ ერთი საათით ისინი ვაგონიდან გარეთ არ გამოუშვიათ. შემდეგ ამ ინციდენტში მთავრობა ჩაერია და ლეგრანის მატარებლის შეიარაღებულ მხლებელთ პირობა ჩამოართვეს, რომ ისინი აგიტაციას და მოწოდებებს თავს დაანებებდენ. ამით გათავდა მთელი ინციდენტი“.

თფილისი. 14 დეკ. ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების სრულ უფლებიან წარმომადგენლის ცნობით, ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების მთავრობამ განსაკუთრებულ ელჩათ მოსკოვის მთავრობასთან დანიშნულია ყოფილი უფროსი დასავლეთის ფრონტისა—ალი ფუად ფაშა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უფლებამოსილ წარმომადგენლათ ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების მთავრობასთან დანიშნულია დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მეორე ამხანაგი—ს. მდივანი.

### ქიაზიმ-ბეის განცხადება.

ბეჭდვითი ბიურომ მიიღო შემდეგი განცხადება საქართველოს მთავრობასთან მყოფ ოსმალეთის დიდ ნაციონალურ კრების სრულუფლებიან წარმომადგენლისა:

„ჩვენი მტრები, რომლებიც შეშინებულნი არიან ანატოლიასა და საბჭოთა რუსეთს შორის არსებულ მეგობრულ და გულწრფელ დამოკიდებულებით ... მართავენ ყოველგვარ ინტრიგებს, რომ ეს ძლიერი კავშირი ჩაშალონ. აწერა ოსმალეთს ისეთ მისწრაფებას, თითქოს მას უნდოდეს თავდასხმის მოწყობა ადერბეიჯანზე, — ისინი, დაშნაკთა მთავრობის დაცემის შემდეგ ცდილობენ ჩვენ წაგვკიდონ რუსეთს. ჩვენ შევედით სომხეთს; მაშასადამე, ეს ბოროტი პროპაგანდა მოჭორილი ამბავია.

...ათვე, რამდენადაც ანატოლიის თავისუფალი განვითარება ყვე...ხებისათვის, ასეთივე განვითა...ურს მას ადერბეიჯანისათვისაც. ...წმუნებული ვარ, რომ განზრა...თიბირი საბჭოთა რუსეთსა და ...ს მთავრობას შორის შესაფერ ...ბს მიაღწევს, რომელიც დააკმა...ებს ორივე მთავრობებს.

...ვალებული მაქვს ოფიციალურ ...ნვაცხადოთ, რომ დამოკიდებუ...საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთის ...ციონალურ კრების შორის მე...ულწრფელია და რომ ორივე და...ბული მთავრობები ყურს არ ...გდებენ ასეთ უნიადაგო ხმებს.

## ...თველოს საგარეო საქმე... სამინისტროს პასუხი.

...გარეო საქმეთა მინისტრის მოვა...ს აღმასრულებელმა კ. საბახტარია...მა უკანასკნელ ამბების გამო სა...ელოს წარმომადგენლებს მოსკოვ...აქოში და ერევანში დაუგზავნა ...ეი რადიო დეპეშა, რომლის ას...ლედაეცა საქართველოს წარმომად...ებს პარიზში, ლონდონში, რომში, ...ინში, სტამბოლში, ვარშავაში და ...თვე ყველა ადგილობრივ უცხოელ ...ებს.

...უკანასკნელ დღეებში ადგილი აქვთ ...ფაქტებს, რომლებმაც შეიძლება ...იწვიონ არა სასურველი გართულე...ნსა და ჩვენს მეზობლებს შორის ...არებული ურთი ერთობაში. რ. ს. ...რ. უფლება მოსილმა წარმომად...ლმა შეგვატყობინა ჩვენ, რომ რ. ...ს. რ. მთავრობის განკარგულე...შეჩერებულია ადერბაიჯანიდან ...ის პროდუქტების საქართველოში ...ნა. ამასთანავე ა. ს. ს. რ.-კის ...ლებში შეჩერებულია ჩვენი სამარ...ტო მატარებლები და დატუსაღე...ნი არიან ჩვენი რკინის გზის აგენ... ასეთი განკარგულება წარმოად... დარღვევას და ფაქტიურ გაუქმებას ...ტრანზიტო ხელშეკრულებისას, რო...ც მოკლე ხნის წინად დაიდო ერ... მხრივ საქართველოსა და მეორე ...თ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ს. ს. რ. შო.... ჩვენი მხრით კი არც ეს ან არც სხვა ...შეკრულება არ დარღვეულა და არ ...მიცემული არავითარი საბაბი, რომე...ც შეეძლო ასეთი ზომის გამოწვევა. ...ე დროს რუსკ. საზღვრ. შესამჩნევი ...ა საბჭოთა ჯარების განსაკუთრ. შე...ვება და ნეიტრალური ზონის ფარ...ებში ფოილოს ხიდის რაიონში კეთ...ა ჩვენს წინააღმდეგ სამხედრო ხა...თის სიმაგრეები. ასეთი ზომე ის მი...ა არის პირდაპირი დარღვევა 12 ...ისის თარიღით დადებული აქსტაფის ...შეკრულებისა, რომლის ძალითაც ...ნებულ ზონას ფარგლებში არ უნდა ...ოფებოდნენ რ. ს. ფ. ს. რ. და ა. ...ს. რ. შეიარაღებული ძალები. ამას ...და, ჩვენს ტერიტორიაზე გზების ...საზვერათ ბორჩალოს მაზრაში სოფ. ...ივთან გამოჩნდა საბჭოთა ყაზახთა ...რეის „რაზიეზდი“, იმავე დღეს მე... ცხენოსანმა „რაზიეზდმა“ მოახდი... იმავე მაზრის სოფ. კერპილზე თავ...სხმა, განიარაღა და გაძარცვა მთელი ...ფელი. ადგილი აქვს საბჭოთა ჯარე...ს კონცენტრაციას აგრეთვე ზაქათა...ს ოლქის ფარგლებშიც, რაც წარ...ადგენს მოსკოვის ხელშეკრულების ...მაისის დამატებითი შეთანხმების და ...ეთვე აქსტაფის ხელშეკრულების ...რღვევას, რომელთა ძალითაც ორივე ...რემ სავალდებულოთ გაიხადეს არ ...ეძლიერებინათ ამ ოლქში მყოფი თა...სი ჯარები და არ შეეყვანათ შიგ ...ალი ნაწილები. და ბოლოს სომხეთის ...ბჭოთა მთავრობამ ბინაზე დაატუსაღა ...ნი დიპლომატიური წარმომადგენელი ...ევანში—გენ. ყარალაშვილი და მისი ...ნი.

...რუსეთის და მასთან მოკავშირე აზე...ბეიჯანის და სომხეთის მთავრობების ...ელა ამ მოქმედებისაგან, რომელსაც ...ქონდა ადგილი იმ დროს, როდესაც ჩვე...ს მხრივ არამც თუ არ იყო მიცემუ...ი რაიმე საბაბი, არამედ პირიქით, ...ოგორც ეს იყო აღნიშნული ჩვენი ...თავრობის მიერ გამოქვეყნებული დე...კლარაციაში. (ს. დ. ს.)

## დამფუძნებელ კრებაში.

— 7 დეკემბერს დამფუძნებელ კრებაში ...ღებული იყო ყველა ზომები ჩვენ მე...ზობლებთან რაც შეიძლება უფრო მჭი...რო კავშირის მისაღებად. შესაძლებე...ლია დასკვნის გამოტანა, რომ ამ შემთ...ხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს აგრესიულ ...ზრახვებით მეზობლებთან, რომლებსაც მიზ...ნათ აქვთ საქართველოზე თავდასხმის მო...წყობა.

...ადასტურებ რა კიდევ რომ საქართ...ველო ძალაში სტოვებს, როგორც სატრან...ზიტო, ისე ყველა დანარჩენ მის მიერ ...დებულ ხელშეკრულებებს და რომ ის ...შეუნდებლად, მტკიცეთ ადგია კეთილ ...მეზობლურ ურთი-ერთობათა დაცვის ...და ყველა სადავო საკითხების შეთანხმე...ბის გზით გადაჭრის პრინციპს. ამით გა...ნვლებთ თქვენ განუცხადოთ იმ მთავრო...ბას, რომელთანაც თქვენ ხართ მივლი...ნებული, სასტიკი პროტესტი ამ მოქმე...დებათა წინააღმდეგ და გადასდგათ ენე...რგიული ნაბიჯები მათი დაუყონებლივ ...ლიკვიდაციოთ. საგარეო საქმეთა მინი...სტრის მაგიერ კ. საბახტარაშვილი. 12 დეკემბერი 1920 წ.

## ტრაპიზონის ცნობა.

ტრაპიზონიდან შემდეგი ცნობა მოუვიდა ჩვენს რედაქციას: სტამბოლიდან გამოგზავნილი დელეგაცია ქემალ ფაშასთან მოსალაპარაკებლად უკვე ანგორაში ჩამოვიდა, მაგრამ დელეგაცია მოულაპარაკებლად პირდაპირ ქემალის მხარეზე გადავიდა. დელეგაციაში შედიოდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი იზედ ფაშა, საზღვაო მინისტრი სალი ფაშა, პარლამენტის თავმჯდომარის ყოფილი ამხანავი ჰუსეინ ქიაზიმ ბეი, ბერნის ელჩი ჯევათ ბეი და სხვა. ამ ცნობას ამოწმებს აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალი ქიაზიმ კარაბექირ ფაშა.

სამსუნიდან გვატყობინებენ: ვრანგელის ჯარის განადგურების შემდეგ აქეთკენ წამოვიდნენ მათი გემები. მიკრული ჰქონიათ დიდრონი ნავები. ზღვის ღელვამ ნავები მოწყვიტა გემებს და ჩანთქა. ერთი გაჰრიყა სამსუნის ნაპირებზე. აქ აღმოჩნდა 250 ტყვიის მფრქვეველი, 15 ათასი ვინტოვკა, ყუმბარები და მრავალი სხ.

(გაზ. „სამ. საქ.“)

## საქართველო და ესპანეთი

ესპანელთა ერთმა უდიდესმა ფირმამ მექსპორტადორა ისპანო-ორიანტალ „ა“ ინიციატივა იკისრა საქართველოსა და ესპანეთის ურთიერთშორის დაახლოვებლად. მან უკვე სათანადო ნაბიჯი გადასდგა ამ ნიადაგზე და საქართველოს სასურსათო კომიტეტის სახელზე მოიტანა ერთი გემზე საქონელი. ეკონომიურად დაახლოვების ნიადაგზე ამ ორ ქვეყნის დასამეგობრებლად ესპანელებმა ბანკეტი გაუმართეს ჩვენი რესპუბლიკის სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლებს თავიანთ გემზე. საქართველოდან მათ გააქვთ ხე-ტყის მასალა. ესპანელები 25 დეკემბრისათვის მოელიან მეორე წყობა საქონელს, რომელსაც შეეძლება საქართველოს ბაზარი დიდათ დააკმაყოფილოს.

(გაზ. „სამ. საქ.“)

## უცხოეთი

### გაფიცვები საბჭოთა რუსეთში.

გაზ. „პოსლ. ნოვ.“ მოთავსებულია შემდეგი ცნობა:

„საბჭოთა მთავრობამ შეიმუშავა მთელი რიგი კანონებისა გაფიცვების წინააღმდეგ, რომელსაც სისტემატიურად აწყობენ მუშები. პირველი ზომა გაფიცვის წინააღმდეგ არის პურის ულუფის ჩამორთმევა, შემდეგი ზომა იძულებითი მუშაობა ორი თვით და უკანასკნელად კი სამხედრო სასამართლოში გადაცემა“.

### დაღესტნის დამოუკიდებლობა.

„ამხ. ლენინს. რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის საბჭოთა კომისრების წარმომადგენელს. მოსკოვი. ამხ. თავმჯდომარე ს. მოსკოვის რადიომ გვაცნობა ჩვენ საბჭოთა რუსეთის მიერ დაღესტანის დამოუკიდებლობის ამბავი. მე ეჭვიც არ შემაქვს, რომ საბედნიერო გადაწყვეტილებას საუკეთესო გავლენა ექნება ბოლშევიკურ და მუსულმანურ ქვეყნების დასაახლოვებლათ და ამით კიდევ უფრო დაგვაახლოვებს ჩვენს საერთო მიზანს, რომელიც გამოიხატება დასავლეთის იმპერიალიზმის ჩამოგდებაში, რომელიც ამავე დროს საფუძველია თანამედროვე კაპიტალისტური წყობილების. მე დარწმუნებული ვარ, რომ მხოლოდ თანამშრომლობა მივვალწევიებს ჩვენ ამ სასურველ შედეგამდე და მიხარის ყოველივე ის, რაც ხელს შეუწყობს ჩვენს მჭიდროთ შეკავშირებას. გიცხადებ მადლობას იმ შორსმჭვრეტი პოლიტიკისათვის, რომელსაც თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებს აღმოსავლეთში საბჭოთა რესპუბლიკა. მე დარწმუნებული ვარ სიმართლის გამარჯვებაში და გთხოვთ, ამხანაგო თავმჯდომარე, მიიღოთ ჩემგან ღრმა პატივისცემა. ოსმალეთის ნაციონალური საბჭოს თავმჯდომარე.“

### მღელვარება მოსკოვში

„დაგენს ნიკეტერის“ ატყობინებენ ტელეგრაფით: „უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში მოსკოვში მღელვარება არა სწყდება. 18 ათასზე მეტი კაცი დაპატიმრებულია, რომელთაც კონტრრევოლიუციონერობა ჰბრალდებათ. რეველიდან იტყობინებიან, უკანასკნელ ხანებში „ჩრეზვიჩაიკას“ მიერ 5,5000 კაცია დაპატიმრებული. დაპატიმრებულთა შორის ასახელებენ ბრუსილოვს და ჩხეიძეს. თვეში დახვრეტილთა რიცხვი უდრის საშუალოდ 1080 კაცს.

### რუსეთი საბაზროდ იყიდება

„რუსეთი ბაზარზე გააქვთ, ნ რდით იყიდება“, ასეთი წერილია მოთავსებული პარიზის გაზეთ „პოს. ნოვ“-ში და მართლაც მთელს უკრაინაში შაქრის ქარხნები შეისყიდიათ ამერიკელ ტრესტებს. ასევე მთელი ურალისა და ციმბირის ქარხნებულობა იმავ ამერიკელების ხელში გადასულა, ეზიდებიან ხე-ტყეს, ნავთს, ყოველგვარ ნედლ მასალას. ყოველგან, სადაც კი უნდა გაიხედოთ, დაინახავთ ამერიკულ ფოლადისა და რკინეულობის მეფეებს, შაქრისა და მარილის კონსერვების, ფეხსაცმელებისა და ტყავისა თუ იარაღების ბატონებს. თუ ოდესმე რუს ემიგრანტებს მოუხდებათ სამშობლოში დაბრუნება, უსათუოდ ისინი დახვდებიან სასაფლაოს, ხოლო ვიდრე სასაფლაოს გალავანში ფეხს შედგამენ, მათ წინ გაუძღვებიან ამერიკელთა სამხედრო და ეკონომიური მიიები, რომელნიც ყოველგან და ყოველს ფეხის დადგმაზე ამართავენ თავიანთ დროშებს და შეიქმნება უცნაური რუქა მომავალი რუსეთისა; რომელსაც გარედგან ლატვია ეწერება და შიგნით ინგლისელები, გარედან უკრაინა—შიგნით საფრანგეთ—ინგლისი, გარედან ყირიმი,—შიგნით საფრანგეთი, გარედან ციმბირი, შიდა რუსეთი და ურალი, შიგნით კი ამერიკა, იაპონია და ასე შემდეგ... ასეა და ასე იქნება კიდეც. რუსეთმა აიღო შრომაზე ხელი, მრეწველმა ხელმა აღარ დაარჩინა რა გარდა ერთი მატინგებისა და დაკრძალვის მანიფესტაციებისა. ჩვენი მომავალი მომავალია აფრიკის ჰოტინტოტებისა, ინდოეთისა და შორეულ ჰონოლულელთა გაწვალებული ბედი; მონობა და მხოლოდ მონობა“

## აღმოსავლეთი

### ს. დ. ს. ს. გ. ცნობები.

#### რუსეთის საფრთხე.

სტამბოლი. რუმინული გაზეთი „ავანტლი“ წერილში, რომელსაც სათაურად აქვს „რუსეთის საფრთხე“, სწერს: რუსეთის საფრთხე ჯერჯერობით არ გვემუქრება, რადგანაც გრძელდება რუსეთის ბრძოლა დნესტრს იქით. მაგრამ როგორც კი აღსდგება რუსეთი, მისი მისწრაფებანი თავს იჩენს ახალი სახით. როდესაც აღსდგება ახალი რუსეთი და იგი ქვეყნიერებასთან აღადგენს ნორმალურ ეკონომიურ დამოკიდებულებას, მაშინ გამართლდება პეტრე დიდის ანდერძი: რუსეთი სახიფათო გახდება რუმინეთისათვის.

#### ვრანგელის ბრძანება.

ჟურნალ „დორიანტი“ აქვეყნებს ვრანგელის შემდეგ ბრძანებას: ლტოლვილებათ ირიცხებიან: 1. გენერლები და ამირალები, რომელთაც არა სურთ სამსახურში დარჩენა და ან რომელნიც არ არიან სადმე დანიშნულნი, 2. ყველა რუსი ოფიცერი 43 წლის ზევით, რომელთაც არა სურთ რუსეთის ჯარში დარჩენა, 3. ყველა სპეციალისტი ოფიცერი, რომელნიც არ არიან სადმე დანიშნულნი და ან უარს აცხადებენ მათთვის მიწოდებულ ადგილის დაკავებაზე.

#### ყირიმიდან ლტოლვილნი.

რუსულ ლტოლვილთაგან 900 დაჭრილი ოფიცერი გაიგზავნა ათინას, 22450 კაცი დასახლებულ იქმნა გალიპოლში და 8500 კაცი მუდროსში, კატარაში 7300 კაცი გაიგზავნა.

#### ბრიტანიის კომისარი სტამბოლში.

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის უმაღლეს კომისრათ სტამბოლში დაინიშნა ღორას-რამბოლდი.

#### გერმანიაში.

საკონტროლო კომისია იუწყება: გერმანიამ სულ 32000 საველე ზარბაზანი გააფუჭა.

#### ახალი კანონი ფრენოსანთათვის.

— საფრანგეთში გამოიცა ახალი კანონები ფრენოსანთათვის, რომლის ძალითაც დასახლებულ ადგილებში ფრენოსანი არ უნდა ჩამოდიოდეს 1,640 ფუტზე დაბლა.

#### საბჭოთა რუსეთში.

პარიზი. „ინფორმასიონი“ ბეჭდავს ერთი პირის შეხედულებას რუსეთის მდგომარეობის შესახებ, ეს პირი დიდი ხანი არ არის რაც რუსეთიდან დაბრუნდა. მას საშვალება ქონდა ახლო გაეცნობოდა რუსეთის მდგომარეობას. იგი გადმოგვცემს: რუსეთის წარმოება სრულებით მოისპო. ბოლშევიზმი თუ არსებობს, მხოლოდ დაუღლეველ ძველი თადარიგის წყალობით. ბოლშევიზმს ვერავითარი ღონისძიება ვერ შესძლებს რუსეთის ეკონომიურ კატასტროფის შეჩერებას. ლენინს სურდა, რუსეთის სხვადასხვა ნაწილებისაგან შეექმნა იდეალური ორგანიზაცია და აავსო რუსეთი დეკრეტებით, სადაც იძლეოდა მთელი ქვეყნის ბედნიერების რეცეპტებს. მაგრამ ეს დეკრეტები ცხოვრებაში არ გატარდა. წარმოებათა და ბანკების ნაციონალიზაციამ გამოიწვია უთვალავი ბოროტ-მოქმედება, რასაც სხვათა შორის ამტკიცებს 32 საბჭოთა კომისრი სადმი მისჯილი ხანგრძლივი დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა.

## ფრანგული ცნობა

### საფრანგეთი ბელგია

ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ თანახმათ „ეტუალ ბელჟეს“ ცნობისა საფრანგეთის დელეგატს საუბარი ჰქონდა ბელგიის პრემიერ დელაკრუასთან გერმანიის დელეგაციამ გადასცა მოკავშირეთა ექსპერტებს ბარათი, რომელშიაც აღნიშნულია გერმანიის ეკონომიური და ფინანსიური მდგომარეობა. ეს დოკუმენტი აღნიშნავს, რომ გერმანიის ვალი გაიზარდა.

ვენიზელოსის ცნობილი მომხრენი და მათ შორის ყოფილი რეგენტი ამირალი კონდურიოტიოსი საბერძნეთიდან ნიცას გაემგზავრა.

## გერმანული ცნობები

### გერმანია და ბრიტანეთი

დიდი ხნის მოლაპარაკების შემდეგ ბრიტანეთის ნახშირის კომისიის ნებართვით ჰამბურგში გაიგზავნა ბრიტანეთის ნახშირი. გერმანიის პრესა აღნიშნავს იმ ფაქტის უაზრობას, რომ გერმანია თანახმათ სპის ხელშეკრულობისა იძულებულია თავისი ნახშირი გაყიდოს იაფათ და ამავე დროს ამგვარივე ნახშირი საზღვარ გარეთ შეიძინოს დიდ ფასებში.

### საერთაშორისო სასამართლო

ერთა ლიგის პლენარულ სხდომაზე მიიღეს რეზოლიუცია საერთაშორისო სასამართლოს დაარსების შესახებ. ამ სასამართლოში გადასწყდება ის საქმეები, რომლებიც არბიტრაჟს მოითხოვს. სასამართლოს გადაწყვეტილებანი სავალდებულო იქნება საერთაშორისო ვალდებულებათა, ან კანონთა დარღვევის დროს. ბულგარეთი ერთ ხმათ მიიღეს ერთა ლიგაში.

### ამერიკა და ერთა ლიგა.

ამერიკის საზღვაო სამინისტროს წარმომადგენელმა დანიელმა განაცხადა იმ შემთხვევაში თუ ამერიკა ერთა ლიგაში შევა, მისი ფლოტის გადიდება საჭირო არ იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამერიკამ ამ სამი წლის განმავლობაში უნდა ააშენოს 30 კრეისერი, რვა სამხედრო გემი. 18 ნაღმოსანი და 18 წყალქვეშა ნავით.

### გერმანია და ბელგია.

გერმანიის ნოტაში ერთა ლიგისადმი, რომელიც ეხება ეიპენსა და მალმედის პლებისციტს, მოყვანილია ახალი საბუთები, რომლებიც ამტკიცებს, რომ ბელგიის მთავრობა რეპრესიებით იმუქრებოდა, იმ შემთხვევაში, თუ პლებისციტი გერმანიის სასარგებლოთ გათავდებოდა. გერმანიის მთავრობა ამ პლებისციტს აცხადებს უკანონოთ და საზავო ხელშეკრულების დარღვევათ; იგი მოითხოვს ახალი თავისუფალი პლებისციტის მოხდენას ეიპენსა და მალმედში, რომლის დროსაც გამოირკვევა მცხოვრებთა ჭეშმარიტი მიდრეკილებანი.

## ლიონის ცნობები.

### დამოუკიდებელსოციალისტების შეკითხვა რეიხსტაგში.

დამოუკიდებელმა სოციალისტებმა შეკითხვა შეიტანეს რეიხსტაგში საგარეო პოლიტიკის შესახებ. ისინი უკმაყოფილონი არიან იმ ტაქტიკურ შეცდომების გამო, რომელიც დაუშვა მთავრობამ ანტანტასთან მოლაპარაკების დროს. გერმანიის ნოტა, სამოქალაქო თავდაცვის შესახებ მაგალითად გადაეცა ანტანტას ბრიუსელში მომხდარ კონფერენციის ორი დღის შემდეგო.

### გერმანიის ელჩი პარიზში.

გერმანიის ელჩი მაიერი სამშაბათს შვეიცარიიდან საბერძნეთის მიმართულებით გაემგზავრა.

### არჩევნები ერთა ლიგის საბჭოში.

ერთა ლიგის სხდომაზე ოთხშაბათს აირჩიეს საბჭოს ოთხი დროებითი წევრი. „ტანის“ ცნობით ბრაზილია, ბელგია და ესპანეთი შეინახავენ თავის ადგილებს საბჭოში. საბერძნეთის ადგილას კი არის რამოდენიმე კანდიდატი, მათ შორის ჩეხო-სლოვაკია, რუმინეთი და ჩინეთი.

### ელჩთა კონფერენცია.

ელჩთა კონფერენციის სხდომა ჟიულ კამბონის თავმჯდომარეობით შესდგა ოთხშაბათს. სხდომას დაესწრნენ მარშალი ფოში და გენ. ვეიკანდი.

### გერმანია და საფრანგეთი.

პარიზი. დეკ. 15 მთავრობის წარმომადგენლებმა, რომლებიც კომერციულ ზღვაოსნობას და მომარაგებას განაგებენ, ეხლახან შეკრეს ლონდონში ხელშეკრულება შესახებ კომერციულ ტონაჟისა, რომელიც გერმანელებს ჩამოართვეს. თანახმათ ხელშეკრულებისა საფრანგეთმა მიიღო 430,000 ტონი რომელიც დროებით ჰქონდა მას გადაცემული. მოწესრიგდა აგრეთვე საკითხი ფლოტისა, რომელიც 22 გემისაგან შესდგება. 10 გემზე დაუყოვნებლივ იქნება აფრიალებული საფრანგეთის დროშა. დანარჩენთა შესახებ მზადდება შეთანხმება, რომლის თანახმათ შესაძლებელია მოხდეს მომარაგების ფონდის ნარჩენის ლიკვიდაცია.

### ტეხნიკური კონფერენცია ბრიუსელში.

მოკავშირეთა ექსპერტებმა ბრიუსელში კონფერენციის თავმჯდომარეთ აირჩიეს ერთხმად დელაკრუა. შემდეგ შეიმუშავეს მუშაობის პროგრამა. პროგრამის იმ ნაწილის, რომელიც გერმანიის ფინანსებს და ეკონომიურ მდგომარეობას ეხება ოთხშაბათს გერმანიის დელეგატებს გადასცემენ. დელეგატები შეხვდავენ, რომ საფრანგეთს, წინააღმდეგ მის შესახებ გავრცელებულ ლეგენდებისა არამც თუ არ ეშინია გერმანიის მრეწველობის აღდგენისა, არამედ პირიქით, მას უნდა გამოიყენოს უკანასკნელი თავის დანგრეულ პროვინციების აღსადგენათ. ბრიუსელის კონფერენციას შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ერთი პროგრამა. ამ შემთხვევაშიაც მისი დრო არ იქნება დაკარგული ტყუილ უბრალოდ.

### წიგნების გამოფენა.

ბრიუსელში არსებულ არტისტთა და ლიტერატორთა წრის ინიციატივით იწყობა გამოფენა ფრანგულ საუკეთესო გამოცემათა საფრანგეთის ელჩის და ბელგიის ხელოვნების და მეცნიერების მინისტრის თავმჯდომარეობით. გამოფენა გაიხსნება წრის ბინაში დეკემბრის 2 და გაგრძელდება იანვრის 6 მდე. გამოფენა იქნება მაჩვენებელი იმისა, თუ რას მიაღწია საფრანგეთმა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში.

### საფრანგეთის კოლონია.

გენერალმა გურომ გააკეთა მოხსენება სტრასბურგში საფრანგეთის კოლონიის შესახებ.

### ნავთის გამოკვლევა ენის დეპარტამენტში.

ფრანგული პრესა იუწყება: ნავთის გამოკვლევა დაიწყო 1905 წელს და შემდეგ 1919 წელს კვლავ განაახლა ჩრდილოეთის ელექტრონის კამპანიამ და დეპლანხის კამპანიამო.

### პრუსიის მთავრობის რეკვიზიები.

პრუსიის მთავრობამ დაუგზავნა მიწერილობა პროვინციებში მყოფ მართველ პირებს შეუდგენ ჩხრეკას და რეკვიზიციას და თუ საჭირო იქნება სამხედრო ძალაც იხმარონ.

## რუსეთის ცნობა.

### წითელ ყაზარმის დღე.

მოსკოვი. 16 12 მტრების თავდასხმა მოგერებულია, მაგრამ მუშური გლეხური რესპუბლიკა არ არის უზრუნველყოფილი საფრთხისაგან საბოლოოთ; მას არ შეუძლია გაუშვას ხელიდან თოფი. წითელი არმია კვლავ უნდა იყოს პროლეტარიატის მტრების საფრთხე. ჩვენი საერთო მიზანი უნდა იყოს ჯარის გაძლიერებისათვის ზრუნვა. წითელი ჯარის გამაგრება უფრო ადვილია ამ ჟამად, როცა იგი მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფება. ამისათვის ჩვენი პირველი მიზანი უნდა იყოს წითელ არმიელის ყაზარმულ ცხოვრების გაუმჯობესება. წითელი ჯარი შეიარაღებულ გლეხებისა და მუშებისათვის უნდა იყვეს კარგათ მოწყობილი პოლიტიკური და განმანათლებელი შკოლა. ამის განხორციელებას კი შევძლებთ საერთო ძალით. საჭიროა ამისათვის წითელი ყაზარმის დღის—სრულიად რუსეთის „ვოსკრესნიკის“ დანიშვნა რაც ხდება თანახმად ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების დადგენილებისა, მხოლოდ არა უგვიანეს დეკემბრის მეორე ნახევრისა.

## ეროვ. დემ. პარტ. მთავარი კომიტეტისაგან.

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული, მიწის მესაკუთრეთა ეროვნული და რადიკალ დემოკრატიულ გლეხთა პარტიათა ხელმძღვანელმა ორგანოებმა განიხილეს რა ზოგიერთ პარტიულ ორგანიზაციათა მიერ აღძრული საკითხი შესახებ ყველა არა სოციალისტურ დემოკრატიულ მიმართულებათა შეერთებისა და მიიღეს რა მხ ედველობაში, რომ ამ პარტიათა უკანასკნელ კონფერენციებზე გამოთქმული იყო სურვილი შეერთებისა, დაადგინეს:

1. დაუყონებლივ დაწყებულ იქმნას შეთანხმებული მუშაობა ყველა ამ მიმდინარეობათა გასაერთიანებლად ერთს მთლიან პარტიაში.

2. პარტიათა შეერთების საკითხი საბოლოოდ უნდა გადიჭრას საერთო კონფერენციაზე, რომელიც მოწვეულ უნდა იქნას შეთანხმებით ყველა არა სოციალისტურ მიმდინარეობათა მიერ.

3. საერთო კონფერენციის მოწვევამდე, როგორც ცენტრალური ორგანოები და პრესსა, ისე პროვინციის ორგანიზაციები მუშაობენ შეთანხმებით.

## ახალი ამბები.

### სამინისტროებში.

— იუსტიციის სამინისტროში. მთავრობამ დეკემბრის 9 სხდომაზე დაადგინა დანიშნოს იუსტიციის მინისტრი ამხანაგად ვ. ქუთათელაძე.

— შინაგან საქმეთა სამინისტროში. ზუგდიდის ერობის გამგეობამ აცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ცნობილი ყაჩაღები დარასელია და ხვინგია ხანგრძლივი სროლის შემდეგ დახოცილ იქნენო.

## სხვა და სხვა

— საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიო საზოგადოების წლიური კრება, რომელიც უნდა მომხდარიყო წარსულ კვირას, დეკემბრის 12 ს, არ შესდგა და გადადებულ იქნა შემდეგისათვის. კრება მოხდება კვირას, დეკემბრის 19-ს, დილის 11 საათზე, სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში.

11 დეკემბერს სოფ. რუხში ყაჩაღებთან ბრძოლაში მოკლულ იქმნენ ჭაქვინჯის რაიონის კომისარი ცხონდია, მილიციონერი როდონაია და რუხის თემის თავმჯდომარე და მძიმედ დაიჭრა ერთი მილიციონერი. ხოლო ყაჩაღების მხრივ, ხანგრძლივი სროლის შემდეგ მოკლულ იქმნენ ცნობილი ყაჩაღები: დარასელია და ხვინგია, რომელნიც ხელმძღვანელობდენ მთელს მაზრაში ძარცვა-გლეჯას და თავდასხმას.

## ბათომ ს პორტში.

ფრანგულ საზოგადოების „სიერაკსის“ ამ დღეებში ნიაპოლიდან ოვა ბათომში და მოიტანს სხვა და სხვა საქონელს საქართველოსთვის, აქედან წაიღებს სხვა და სხვა საქონელს და წაიყვანს ძგატკრებს.

ამ კვირის ბოლოს იტალიური გემი, „ვკონია“ ხე-ტყის ნახშირით წავიდა ჩრდილო ევროპისკენ სტამბოლში შესვლით.

— იტალიური გემი „კლეოპატრა“ ხუთშაბათს მიდის ვენეციაში და მიაქვს სხვა და სხვა საქონელი.

— გემი „კელტი“ განაგრძობს დატვირთვას.

— 14 დეკემბერს სოხუმიდან მოვიდა გემი „დონეკი“.

რამოდენიმე წვრილმანი გემი ოსმალეთის ნაპირებისკენ წავიდა.

## პარტიული ცხოვრება.

### სტუდენტთა კომიტეტისა და კონფერენციის დელეგატების კრება.

პარასკევს, დეკემბრის 17-ს საღ. 7 საათზე მთავარი კომიტეტის ბინაზე შესდგება სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ დემოკრატ სტუდენტთა კომიტეტისა და სტუდენტთა ორგანიზაციის მიერ არჩეულ ს. ს. ერ. დემ. პ. მოსწავლე ახალგაზრდათა კონფერენციის დელეგატების შეერთებული კრება.

ეროვნულ დემოკრატ. მოსწავლე ახალგაზრდათა ხრულიად საქართველოს ორგანიზაციების მე 4-ე კონფერენცია მოწვეულია 1920 წ. დეკ. 19-ს.

განსახილველი კითხვები:

ა. მომენტი.

ბ. მოსწავლე ახალგაზრდათა მთავარი კომიტეტის მოხსენება კომიტეტის მოქმედების შესახებ.

გ. მოხსენებანი ადგილობრივი ორგანიზაციებიდან.

დ. ჩვენი პარტია.

1). პროგრამული მხარე:

ა. პოლიტიკური ნაწილი;

ბ. სოციალ ეკონომიური ნაწილი.

2). ტაქტიკა.

3). პარტიული მუშაობა.

ა. მთავარი კომიტეტი.

ბ. დამფუძნებელი კრების ფრაქცია.

გ. პარტიული პრესა.

დ. გეგმა მომავალი პარტიული მუშაობისა

ე. არჩევნები.

ვ. ზოგადი ხასიათის მოხსენებანი.

წარმომადგენლობის წესი:

1. ახალგაზრდათა მთავარი და სტუდენტთა კომიტეტების სრული შემადგენლობა.

2. ყველა მოსწავლე ახალგაზრდათა ორგანიზაციებიდან ყოველს 50 წევრზე 1 დელეგატი.

3. სადაც 50-ზე ნაკლებია, შეუძლია იყოლიოს კონფერენციაზე 1 დელეგატი.

ყველა ორგანიზაციები ვალდებულნი იყვნენ წერილობით წარმოადგინონ მოხსენება ორგანიზაციული მუშაობის შესახებ და პროგრამულ კითხვებზე არა უგვიანეს 15 დეკემბრისა.

5. დელეგატს უზრუნველ ყოფს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ერ. დემ. პარტ. ახალგაზ. მთავარი და სახელ უნ ვ. სტ. კომიტეტები.

## ქ. ფოთი.

### ს. ერ. დემ. ბიუროს ცნობა.

ქალაქის დიდ კლუბში ადგილობრივ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტის მიერ სახელოსნო სასწავლებლის შენობაში 5 ამა ქრისტეშობისთვეს მოწვეულ იქნა კრება. კრებას თანამოაზრენი ბლომად დაესწრო. კრების თავმჯდომარედ იყო კომიტეტის თავმჯდომარე ბ-ნი სტ. გაგუა. მან მისალმებისთანავე კრებას გააცნო მოკლედ, დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა ენერგიულ მუშაობისაკენ. თავმჯდომარის შემდეგ სიტყვა ითხოვა კომიტეტის მდივანმა ბ. გეგელიამ, ცნობილმა პარტიულ მოღვაწემ ბ. ალექსანდრე ჭკონიამ და სხვებმა. პირველი შეეხო პარტიულ საკითხს, წარსულში ჩვენს მუშაობას; კრება დიდად კმაყოფილი დარჩა და ორატორი მხურვალე ტაშით დააჯილდოვეს შემდეგ კრებამ ითათბირა კლუბზე კომიტეტის განყოფილების გახსნის შესახებ რაც ერთხმად იქნა მიღებული; კოლექტივში არჩეულ იქნენ: 1) კონსტანტინე ოდიშარია (თავმჯდ.) 2) კონ-

171

დრატი ქოიავა, ალექსანდრე შაულია, მათლომე თოდრია, რაჟდენ თოფურია, მოსე ბერძენიშვილი (მდივანი) ალექსანდრე ქიტანავა (მოლარე) და ნიკოლოზ გეგელია.

მათ შორის თავმჯდომარედ ბ-ნი კ. დადიშარია, ამხანაგად ბ. კ. ქოიავა, მდივნად ბ. ბერძენიშვილი და მოლარედ ბ. ქიტანავა.

### ეკონომიურ კომისიაში

ფინანსთა მინისტრის მოადგილეობის ამსრულებლის ავალიანის თავმჯდომარეობით შესდგა მთავრობის მიერ დანიშნულ ეკონომიურ კომისიის კრება. კრებას დაესწრნენ: ვაჭრობა და მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორი ე. ადამიძია, სახელმწიფო მამულების მთავარი ინსტრუქტორი ს. ხუნდაძე და გზათა [illegible]ლსვლის დეპარტამენტის დირექტ[illegible] ჭიჭინაძე. სხდომაზე მოწვეულ [illegible] მომარაგების მინისტრი და სახელმწიფო კონტროლიორი, რომელიც კრებას არ დასწრებიან. კომისიამ მოისმინა გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენება სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა შესახებ. მოხსენების მოსმენის შემდეგ კომისიამ დაადგინა: 1) სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებანი აგებული უნდა იქმნენ იმავე ნიადაგზე როგორც კერძო საწარმოო დაწესებულებანი, ე. ი. მათ უნდა ჰქონდეთ: 1) სრული ოპერატიული თავისუფლება მოქმედებისა, ბ) კომერციულ ნიადაგზედ მოწყობილი წარმოება საქმეებისა და ანგარიშისა და გ) კერძო საწარმოო დაწესებულებათა დაგვარად მოწყობილი ტეხნიკო-კომერციული კონტროლი. 2) საბოლოო ფორმა სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებათა ორგანიზაციისა უნდა ჩაითვალოს მათი შეერთება ერთ ან ორ ჯგუფად სოფლის მეურნეობის და სამრეწველო მეურნეობის ხასიათისას ცალკე უწყებაში, რომელსაც უნდა ეწოდოს „ხალხის მეურნეობის" ან „საზოგადოებრივ მეურნეობის" სამინისტრო. იმ პირობით, რომ ამ უწყების ორგანიზაცია იქნეს აგებული პირველ პუნქტში ნათქვამ პრინციპებზედ. 3) აღიარებულ იქნას, რომ ვიდრე ერთბაშად გარდაქმნა არსებული საწარმოო დაწესებულებათა და მათი ერთად შეჯგუფება ერთ უწყებაში არ არის სასურველი ვინაიდგან შესაძლებელია ამ ხანს შესამჩნევი არევ დარევა საქმეებისა და ანგარიშის წარმოებისა. ამისათვის უკეთესად იქმნეს მიღებული საბაზინო საწარმოო დაწესებულებათა ზემოაღნიშნულ პრინციპებზედ რეორგანიზაცია ეხლა არსებულ უწყებების ფარგლებში, იმ მიზნით, რომ ასეთ რეორგანიზაციის გათავების შემდეგ საწარმოო დაწესებულებანი შეჯგუფდენ ცალკე უწყებაში, 4) აუცილებელ პირობათ სახელმწიფო საწარმოო დაწესებულების მოქმედებისა აღიარებულ იქმნას გადადება ასეთ წარმოებათათვის უწყების პასუხის მგებლობის ქვეშ განსაკუთრებულ საწარმოო თანხებისა, რომელნიც შედიან ამ წარმოების ცალკე კასაში და რომლის დატრიალების საშუალებით აღნიშნული დაწესებულება ასრულებს ყოველსავე ოპერაციებს. 5) ანგარიშები ასეთ დაწესებულებათა უნდა გასწორდეს წელიწადში ერთხელ ან ორჯერ და წმინდა შემოსავალი დანიშნულ ნორმის ზევით შედიოდეს ხაზინის შემოსავალში. 6) წლიური ხარჯთ-აღრიცხვები საწარმოო დაწესებულებათა თუ ისინი არ საჭიროებენ ხაზინიდან გადადებულ საწარმოო თანხის გადიდებას საბოლოოდ მტკიცდებიან სათანადო უწყების მეთაურების მიერ, ხოლო თუ საჭიროა ხაზინიდან დამატებითი თანხის გამოთხოვა წლიური ხარჯთ-აღრიცხვები განიხილება ჩვეულებრივ წესით და გამოითხოვება სათანადო დამატებითი თანხა. 7) იმის მიხედვით თუ რამდენათ რთულია საწარმოო დაწესებულების ოპერაციები და თუ რამდენია ასეთი დაწესებულება რომელიმე უწყებაში, მათი მართვა გამგეობა უნდა ხდებოდეს ან პირადათ დანიშნულ მმართველის მიერ, ან განსაკუთრებულ სამ პირისაგან შემდგარ კოლეგიის მიერ (რთულ მეურნეობის და ოპერაციების შემთხვევებში) იმის დაგვარათ როგორც არის მოწყობილი სააქციო საზოგადოებათა გამგეობანი ან და უწყებისაგან გამოყოფილ ცალკე სამმართველოს მიერ (მრავალრიცხოვან საწარმოო დაწესებულებათა შემთხვევაში). 8) კონტროლი ასეთ დაწესებულებათა აგებული უნდა იქნეს წმინდა კომერციულ ნიადაგზედ. მას საბოლოოდ უნდა მიეცეს სახე ტეხნიკურ-კომერციულ-კონტროლის განყოფილებისა უწყებასთან, რომელიც დაადგენს საწარმოო დაწესებულებათა მართვა გამგეობისათვის, ხოლო დროებით ის შეიძლება განხორციელებულ იქნეს ცალკე უწყებაში გამოყოფილ კონტროლიორების მიერ. სახელმწიფო კონტროლს აქვს საერთო უფლება ცალკე საწარმოო დაწესებულებათა ერთდროულ რევიზიისა საჭიროების მიხედვით. 9) დეკრეტის პროექტის შედგენა დაევალოს გზათა დეპარტამენტის დირექტორს, რომელმაც ეს პროექტი წარმოადგინოს კომისიის შემდეგ სხდომისათვის განსახილველად.

(ს. დ. ს.).

ჩვენი კორესპონდენტები.

### თერჯოლის თემი.

ისედაც ათასგვარ გაჭირვებაში მყოფ მასწავლებლებს, რომელიც გამოიხატება მათ სიმშილსა, სიცივე-სიტიტვლე უბინობაში, ხვდება ათასგვარი დამცირება ზოგიერთ ბობოლასგან, რომელსაც თავის თავი მინისტრი გონია და სხვას ბუზის ფასათაც არ აგდებს. ჩვენ არ გვგონია იყვეს რომელიმე დარგის მოსამსახურენი ისე აბუჩად აგდებულნი, როგორც სახალხო მასწავლებლებია. მიუხედავათ ასეთი დამცირებისა მასწავლებელი მაინც განაგრძობს დღეს მეცადინეობას და ემსახურება ხალხს, როგორც სწავლა აღზრდის საქმეში, ისე სხვაფერადაც. მაგალითად თერჯოლის თემის მასწავლებლები ჩაბმული არიან სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებებში და უფასოთ ეწევიან მძიმე ჰაპანს. ამას ხალხიც აფასებს და მადლობასაც უცხადებს მათ. მხოლოდ ზოგიერთი ბობოლა, ნებით თუ უნებლიეთ, ისეთ რამეებს კი ავრცელებს მასწავლებლებზე, რომ შეგნებული კი არა შეუგნებელი და მასთან სულ „გამოსულქისინებულიც" არ იკადრებს ამ გვარ რამეებს. მე მოგახსენებთ ამ თემის მცხოვრებ იაგორ მაჭავარიანზე—თერჯოლის თემის ხმოსანზე, რომელსაც თურმე ის 5000 მანეთი, რომელსაც დღეს მასწავლებელი იღებს ბევრი გონია და „ამდენი" ფული არ უნდა ეძლეოდეს მათ, მისი შეხედულებით. ამასთანავე თურმე მასწავლებლები არაფერს აკეთებენ და ტყუილა ღებულობენ ფულს... მე არ ვიტყვი ამ წერილში ყოველივე იმას რისი თქმაც მას უნებებია ერთ სავსე მაგიდაზე, რადგან პურის წლის გულისთვის დროს დაკარგვა არ მინდა და ისიც შესაფერ პასუხს მიიღებდა ერთი ჩვენი ამხანაგთაგანიდან, რომელიც იქ დაესწრო იმ დღეს. მაგრამ ეს კი იცოდეს ბ. იაგორმა, რომ მას ასეთ გამოსვლას უყურადღებოთ არ დავსტოვებთ და შესაფერ პასუხს მოვთხოვთ მას. მანამდი კი კარგი იქნება გვიპასუხოს შემდეგ კითხვებზე.

1—როგორ ყიდის ან იყიდება ფუთი სიმინდი?

2—რაღარს მუშა კაცი დღეში?

3—რამდენს აძლევს საჭირო საქონელში იგი.

მაგალითად: წაღებში, ჩითში და სხვა ასეთებში?

დემოკრატი.

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ს. კედია.

ქუთაისი
ექიმი
ისაკ იაკობის-ძე
მინოვიჩი
ღებულობს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.
ყოველ დღე დილის 10-12 ს. და საღამ. 5 7. ს. ქარვასლის ქუჩა, № 5 (მწვანე ბაზარი) ბინა ყოფილი ექ. ჰოლოშვილისა № 3208.

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგან, კისრის, ცხვირის და ყურის ავადმყოფობის.
ავადმყოფების მიღება დილის 12—1 ნახ. საათამდე, მადატოვის ქუჩა № 7, ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ.
ტელეფ. 16—65; 1. 7—49

ექიმი
რეზო მაჩაბელი
[illegible]
3268

[illegible]
ი. გ. ქუთათელაძე
[illegible]
ვექიმობ „ნეიმანის და ვესსელის" მეთოდებით. ვიძლევი დარიგებას „ზოოტექნიაზე" (საქონლის მოვლა-მოშენება). დილის 9—10 საათ. და დღის 3—5 ს. ბელინსკის ქუჩა № 39, ბინა 2
თვ.

ექიმი
ა. ე. ლევენშტეინი.
ღებულობს რენტგენისა და ელექტრონით შინაგან სნეულებით ავადმყოფთ და აგრეთვე აწარმოებს რენტგენის სხივებით შინაგან ორგანოთა და ჭრილობათა გამოკვლევას. წამლობა დიდი ძალის ტოკით. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა 3. ტელ. 12 46.
მიღება 11-12 და 4 7 საათამდე.

თვალების ავადმყოფობის
ექიმი
მ. გოლდშტეინი
სათვალეების შერჩევა. ავადმყოფების მიღება დილის 8 ს-დან 11 ს-მდე; საღამოს 2—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქ. № 32

ექიმი
ა. ს. ჯავრიშვილი
სიფილისი (606—914 შეშხაპუნება), კანისა, ვენერიული და საშარდო ორგანოს სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს 8—9 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. ოლღას ქუჩა, № 3, მელიქ-აზარიანცის სახლი. 3305 თვ.

დაბრუნდა და გაანახლა ავადმყოფების მიღება,
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
[illegible]

სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა
[illegible]

ექიმი
ი. ი. ქალანდაძე
[illegible] სიფილისი (შეშხაპუნება 606 და 914) და საშარდე ორგანოთა სალ. 5—7 ს. გუნიბის ქ № 6, მოსკოვის ქუჩ. კუთხე ზემმელის აფთიაქთან.
ტელეფ. 18—95. 3228

დოქტორი
გ. გ. მე[illegible]
შინაგანი ავადმყოფობანი, [illegible] გულისა. იღებს რენტგენის ელექტ[illegible] წამლობის კაბინეთში. გასინჯვა წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების [illegible] რაცია—პოევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე და სალ. 6 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 3314

### მატარებელთა მიმოსვლა

ფოსტის მატარებელი № 3.
თბილისიდან ბათომში—დილის 10 [illegible] 53.
მატარებ. № 3. № 7.
თბილისიდან ფოთში სალამ. 7 ს. 14
მატარებ. № 21.
თბილისიდან ბათომში, სალ. გად. 10 37
მატარებ. № 19.
თბილისიდან ხაშურში დილის 3 ს. 20
მატარებ. № 140.
თბილისიდან სალოღლში დილის [illegible]
მატარებ. № 390.
თბილისიდან სანაინში, დილის [illegible] 45
მატარ. № 4.
თბილისიდან კახეთში დილის 8 30

თბილისში მოდის.
მატარებ. № 4.
ბათომიდან თბილისისკენ გამოდის [illegible]
[illegible]
მატარებ. № 7.
[illegible]
მატარებ. № 22.
[illegible]
მატარებ. № 19.
[illegible]
მატარებ. № 141.
[illegible]
მატარებ. № 416.
სანაინიდან თბილისისკენ გადის [illegible]
თბილისში მოდის დღის 4 ს. 53
მატარებ. № 3.
კახეთიდან თბილისში გადის [illegible] ს. 2[illegible]

## ბეეთჰოვენი

(დაბადებიდან 150 წლის შესრულების გამო).

დღეს, 17 დეკემბერს შესრულდა 150 წელიწადი დაბადებიდან იმ უდიდესი მუსიკოსისა, რომლის შემოქმედების ტოლი და სწორიც კაცობრიობას ჯერ არ უნახავს და არ მოუსმენია.

ეს მუსიკოსი იყო ბეეთჰოვენი. როგორც დასავლეთ საეკლესიო საგალობლების განვითარება დაგვირგვინდა პალესტრინას გენიალურ ხაზის მოსმით, როგორც სავოკალო—საინსტრუმენტო ფორმების განვითარებამ მე-18 საუკუნეში ბახისა და გენდელის შემოქმედებით სთქვა უკანასკნელი სიტყვა ისტორიაში, როგორც საოპერო სტილის განვითარება დააგვირგვინეს გლუკმა და მოცარტმა, ისე სიმფონიურსა და კამერულ სტილის განვითარების ეპოქაში უმაღლესი სიტყვა სთქვა და მით მოუწერა ჯამი საერთოდ სამუსიკო ხელოვნებას ბეეთჰოვენმა.

ამითი შეიძლებოდა გაგვეთავებინა დღეს დღეობით ამ კომპოზიტორზედ მსჯელობა და მით აღგვენიშნა მით მისი მნიშვნელობა კულტ. ცხოვრებაში; მაგრამ ეს არა კმარა, მოკლედ მაინც უნდა ვიცოდეთ ვინაობა იმ ადამიანისა, რომლის მძლავრმა გენიოსობამ ამოჰგლიჯა ჩვენთვის მიუწდომელ და ბინდით მოცულ ბუნებიდან უამრავი ბგერა და გადმოჰყარა ხილულ ქვეყნად გუნდი და გუნდი ტკბილი ხმებისა ჩვენ სანუგეშოდ და საამებლად, ჩვენ სალოცველად და დასაწველად.

ვინ იყო ბეეთჰოვენი?

იოგანნე ვან—ბეეთჰოვენი მომღერალ ორგანისტი იყო და ეკლესიაში მსახურობდა, ანუ ჩვენთვის უფრო გასაგებ ენაზედ რომ ვსთქვათ, ეს კაცი კათოლიკების ეკლესიებში მედავითნეობას ეწეოდა; აი, ამ იოგანნეს ოჯახში, 17 დეკემბერს 1770 წ. დაიბადა ის ლუდვიგი, რომელმაც შემდეგში აალაპარაკა მთელი ქვეყანა და მისი სახელიც ოქროს ასოებით აღინიშნა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

იოგანნე თავის პატარა შვილს, ლუდვიგს მუსიკას ბეჯითად ასწავლიდა; ლუდვიგი დიდს ნიჭს იჩენდა მუსიკისას, ეს კი მამას ფრიად ახარებდა. იოგანნე თუმცა ღარიბი იყო, მაგრამ ტყავს იძრობდა და შვილი კი საუკეთესო მასწავლებლებთან მიჰყავდა მამას უნდოდა ლუდვიგს მალე შეესწავლა საქმე, თავის გარჯა-მუშაობით ლუკმა პური ეშოვნა და ხელი [illegible] ძმის გაჭირვებულ ცხოვრებისათვის. ეს ასეც მოხდა: თხუთმეტის წლის ლუდვიგს ჩვენ უკვე ვხედავთ ორგანისტად ეკლესიაში. მაგრამ ლუდვიგის განძრახვა სხვა აღმოჩნდა, სხვა რამეს იმზირებოდა. აქ უფრო მეტად გრგვინვით გაიელვებდნენ ოცნებაზედ ამოკვეთილი მისი ხმები, აქ შემოკრავდა ფრთა-ფრთას მისი არწივისებური, უფსკრულის სივრცეში მქროლავი, აქ მზის ოქროს სიმებზედ კრიალოსნად ასხმულ ხმებით ნამოსაუბრე მისი გენიოსობა. ვერაფერმა შეაკავა ბეეთჰოვენი, ვერც მამის გაჭირვებულმა ცხოვრებამ, ვერც დედის ცრემლებმა და თხუთმეტის წლის ლუდვიგმა ვენაში ამოყო თავი.

ავსტრიის დიდი ქალაქი ვენა იმ დროს სამუსიკო ცენტრად ითვლებოდა განათლებულ ევროპაში; აქ ცხოვრობდნენ მარშლად წოდებულნი მუსიკოსნი: ნეფე, ზეიფლიცი, გუმმელი და სხვა, და ყველა ამათ სათავეში ედგნენ სახელგანთქმული ჰაიდნი და თვით მოცარტი. ეს ქალაქი იყო ბეეთჰოვენისთვის სასურველი.

ვენაში ლუდვიგმა მალე მიიქცია მუსიკოსების ყურადღება და, [illegible] ქალაქის უმაღლესი წრეც [illegible] და ყველა [illegible] ბეეთჰოვენის იმპროვიზაცია ფორტეპიანზედ. ლუდვიგს ოცნება სინამდვილედ გარდაიქცა. ბეჯითად კი არა, გატაცებით შეისწავლა ბეეთჰოვენმა მუსიკა ჰაიდნის ხელმძღვანელობით. მაგრამ დიდ ხანს არ გასტანა ამ დრომ, როდესაც ლუდვიგი გატაცებული იმედით და უკვირდა თავის მასწავლებლის გაკვეთილებს: მასწავლებელი [illegible] მოჰყავდა მოწაფის [illegible] ნაწერებს; იგი ამ ნაწერებს დიდხანს უკრავდა და აკვირდებოდა უცნობს ახალ ახალ ხმათა კომბინაციებს; მოწაფეს კი თავის მხრივ არ მოსწონდა ის, რომ მასწავლებელი [illegible] და გაკვირვებას იჩენდა მოწაფის შემოქმედებით; ნათლად ჩანდა რომ მასწავლებელი ველარ ფეხს მისცემდა თავის მოწაფეს და მოწაფე კიდევ ვერაფერს მიიღებდა მასწავლებლისგან; მეტი ღონე არ იყო; ევროპაში სახელ განთქმული, მუსიკის მარშალი ჰაიდნი და ჯენიოსი მოწაფე ერთმანეთს უნდა დაშორებოდნენ. ეს ასეც მოხდა, ჰაიდნმა თავის საცხოვრებელ ადგილად ლონდონი, სადაც მას სიკვდილამდე მეფური დიდება და ცხოვრება ელოდა, ბეეთჰოვენი კი დარჩა ვენაში, სადაც იგი ცხოვრებამ აწამა და ჯვარს აცვა.

დაახლოვებით, ასე, ოც და ათის წლისა იქნებოდა, როდესაც ბეეთჰოვენმა იგრძნო საშინელი ავადმყოფობა, რომელმაც შემდეგში ამ კაცის გენიოსური ცხოვრება გარდააქცია უსიხარულო ცხოვრება უბედური კაცისა. ეს ავადმყოფობა იყო სიყრუე.

ამ საშინელმა ავადმყოფობამ მიიყვანა ეს კაცი იქამდის, რომ იგი არამც თუ საზოგადოებაში, არამედ ამ ქვეყნადაც მარტოდ მარტო გრძნობდა თავის თავსა, როცა იგი ველარ ჰპოვებდა ნუგეშს იმ საქმეში, რაც შეადგენდა მთლად მის ცხოვრების დანიშნულებას, მისი სიცოცხლის უმთავრეს ელემენტს, რამაც მიაწყვეტა იმ საქმეს, რომელიც მას არსებობისთვის ისევე საჭირო იყო, როგორადაც პური, წყალი, ჰაერი. სიყრუე და როგორი სიყრუე—სიცოცხლის.

უკანასკნელ წლებში ამ საშინელი ავადმყოფობით ბეეთჰოვენი მოწყვეტილი იყო ამ ქვეყნის აზმაურებას.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მასთან მუსაიფი შეიძლებოდა მხოლოდ ქაღალდზედ წერით. ეს უბედურობა მით უფრო საშინელი და სატანჯველი იყო მისთვის, რომ ლუდვიგის ახლობელი მონათესავენი იოტის ოდენათაც არ თანაუგრძნობდნენ მუსიკოსს, ხოლო მისთვის საყვარელს ძმისწულს, რომელიც ბეეთჰოვენს შვილსავით უყვარდა,—ხომ თავის უბედური ბიძის სახელის გაგონებაც ეზარებოდა და ეძრახებოდა.

ცნობილი ბიოგრაფი, მწერალი და მუსიკოსი ფ. გილლიერი თავის საისტორიო წიგნში გვაძლევს ფრიად საყურადღებო ცნობებს მუსიკოსის ცხოვრების უკანასკნელ დღეების შესახებ; აი როგორ აგვიწერს გილლერი იმ უკანასკნელ დარბაზობას, რომელიც თვით გილლერმა და გუმმელმა გადუხადეს ბეეთჰოვენს:

„მე და ბეეთჰოვენის მეგობარი, გუმმელი წავედით მუსიკოსის სანახავად; ყველამ ვიცოდით მისი ავადმყოფობა. მივდიოდი მაღლა სართულის კიბეებზედ და გული მიცემდა იმ სანახაობით, რომ ჩემი თვალები [illegible]ადნენ ჩვენი დროის ერთს უდიდესს გენიოსს. გავიარეთ ვიწრო ორღობე, შევედით ღარიბ ოთახში, გუმმელმა გადაჰკოცნა ბეეთჰოვენი, ბეეთჰოვენმა გულში ჩაიკრა გუმმელი. ოთახის მორთულობა ფრიად ღარიბი იყო, ყველგან ბევრი შკაფები, კარადებშიც კი, ქაღალდებით გატენილი. ეს მუსიკოსის ნაწერები იყო, აქ იყო მილლიონების დაგროვილი სიმდიდრე, რომელიც მუსიკოსს შევიწროებების და უბედურების მეტს არას აძლევდა, ხოლო შემდეგში ამ ნაწერებმა არა ერთი და ორი ფირმა გაამდიდრა და მილლიონები შესძინა. მუსიკოსმა სიყვარულით მოიგონა ზოგიერთი თავის მეგობარი, მათ შორის გიოტეც. ბოლოს მწუხარებით დაიწყო ჩივილი თავის უნუგეშო ცხოვრებაზედ: აგერ თითქმის ოთხი თვეა ლოგინათ ვარ ჩავარდნილი მეშინიან დიდი ხანი არ გაგრძელდეს ჩემი ესეთი მდგომარეობა.

ბეეთჰოვენი შეეხო აგრეთვე იმ დროის მუსიკაში გამეფებულ გემოვნებას; იგი ვერ შერიგებოდა იმ უმიზნო და უმნიშვნელო მფარველობას, რასაც ეწეოდნენ მეფე-დიდებული უნიჭო დილეტანტ მუსიკოსებისადმი.

„მართალია, საშინელებაა მაგრამ მეტი ღონე არ არის... დასწერე რამე და მიუძღვენ დიდებულსა, იქნებ რამე წყალობა მოიღოსო"—ურჩევდა გუმმელი თავის მეგობარს. ალბათ მეგობრის ამნაირი რჩევა ბეეთჰოვენის ბუნებას არ ეგუებოდა და მწარე სარკაზმით მიახალა გუმმელს: იცი რა გითხრა, ჩემო მეგობარო მოდი დასწერე „ცოდვათა მონანიების საგალობელნი" და მიართვი მის უდიდებულესობას, ეს წიგნი საუკეთესო საკითხავი და გასართობი იქნება მისთვის ამ სიტყვების შემდეგ მუსიკოსმა გულიანად გადიხარხარა. და დაუმატა: „ამბობენ ხმა ღვთისა და ხმა ერისაო"—მე ეს არასოდეს არა მწამდა და არც ვიწამებო სთქვა კიდევ ბეეთჰოვენმა ასე იხსენიებდა მუსიკოსი გვირგვინოსნებს, რომლებიც უვიც მუსიკოსებს ჰკვებავდნენ ხოლო ნიჭიერებს ვერ ეპოვათ მათი მფარველობა.

ბეეთჰოვენის პიროვნებაზედ მთელი ლიტერატურა შეიქმნა. ბევრია მათში საყურადღებო იმიტაც რომ მათი ავტორები,—როგორადაც ზეიფრიდი, შინდლერი, ვეგლერი დარისი,—პირადად ახლო ნაცნობები იყვნენ მუსიკოსისა; ხოლო ყველაზედ საინტერესო კი რ. ვაგნერის წიგნია. ეს თხზულება მით უფრო საინტერესოა, რომ აქ გენიოსი მუსიკოსი მსჯელობს გენიოსს მუსიკოსზედ. ჩვენ ვიცით, რომ ვაგნერი როგორც კომპოზიტორი, განცალკევებულ პიედესტალზედ სდგას მუსიკოსთა შორის თავის მუსიკალური ნაწარმოებებით; ასევე განცალკევებული ადგილი უჭირავს ვაგნერს მწერლობაში თავისი ფილოსოფიურ შეხედულებით ხელოვნების ძირითად პრინციპებზედ და აქაც მას მეტოქე არვინ ჰყავს. ვაგნერის შრომა ბეეთჰოვენზედ სწორედ ეს ბრძნული, ერთის მხრით გაბედული, მოსაზრებით უდევს საფუძვლად. იგი თავის მსჯელობაში იმ დასკვნამდის მიდის, რომ ბეეთჰოვენს აღვიარებს განსაკუთრებით ნემეცის ხალხის გენიოსად, მატარებელს მხოლოდ ამ ერის თვისებებისას, რომელსაც აქვს დიდი ნაციონალური მნიშვნელობა.

ვაგნერის აზრით ის განსაკუთრებული თვისება, როგორიც გვიჩვენებს მუსიკოსის ამა თუ იმ ხალხის კუთვნილებას, უფრო ღრმად არის დაფარული ადამიანის არსებაში სანამ ის ნიშნები, რომელნიც ჩვენთვის ცხადი ჰყოფენ გიოტესა და შილლერის წარმოშობას ნემეცის ხალხიდგან. ეს აზრი ვაგნერისა მე ცოტა გაზვიადებულად მიმაჩნია, ვინაიდგან არა მგონია, რომ მუსიკოსნი სხვა რამე თვისებების მატარებელნი იყვნენ, გარეშე იმისა რის მატარებელიც არის ესა თუ ის მწერალი, პოეტი, ფილოსოფოსი და სხვა. ბეეთჰოვენი გენიის მატარებელი იყო, წარმოშობილი ნემეცის ხალხიდან, ერთნაირად სიამაყე და პატივ საცემი განათლებულ ერებისა, ამ მხრივ მისი აღმოცნობა არ არის ძნელი: ხოლო როცა მან დასწერა გენიალური მეცხრე სიმფონია და მის პარტიტურას წააწერა: ვუძღვნი ღენერალ ბონაპარტესო და შემდეგ როცა გაიგო, რომ ამ ღენერალმა თავის თავი მეფედ გამოაცხადა და ბეეთჰოვენმა პარტიტურაში პირველი წარწერა ამოშალა, ეს კი ერავის ვერ გაუგია და აი, ჩემის აზრით, ამ მხრივ არის ეს მუსიკოსი ამოსაცნობი და გასაგები.

შეუპოვარი თავისებურობა, როგორც ხელოვნებაში, ისე ცხოვრებაში, ბეეთჰოვენს განუყრელად თან სდევდა; ის არ ჰგავდა ბახსა, რომელიც ორგანის გარშემო შემოიკრებდა მსმენელებს და განცვიფრებაში მოჰყავდა თავის „ფუგებით". უფრო ცოტას რამეს ატარებდა ჰაიდნისას, მაგრამ ამასაც არ უხრიდა იგი თავს; ჩვენ ვიცით, ჯერ კიდევ ჭაბუკობისას როგორის ირონიით ეპყრობოდა თავის მასწავლებლის თხზულებებს და არც სცნობდა იგი მას თავის მასწავლებლად.

არ წააგავს ბეეთჰოვენი არც მოცარტს; განა დაივიწყებდა ბეეთჰოვენი იმას, რომ მოცარტმა გაცნობისათანავე მას გამოცდა დააჭერინა და ლუდვიგიც ამ ნაცნობობისათვის იძულებული იყო შეესრულებინა ფორტეპიანოზედ სონატა და შემდეგ, როდესაც ამ სონატით გენიოს მოცარტზედ ვერ მოახდინა სასურველი შთაბეჭდილება, იგი წამოხტა და ორგანოზედ დაიწყო ოცნება ხმებით; და აი, მოცარტი ღრმად შეტოკებული ამ ზღვა ხმათა უცნაურობით და ჰარმონიის უფსკრული სიღრმით, იძულებული იყო გულწრფელად ელიარებინა ამხანაგების წინაშე: „ამისგან კაცობრიობა მოისმენს რამე შესანიშნავს, გასაოცებელსო", აქაც ბეეთჰოვენმა თავისი გაიტანა, გულის წადილი შეისრულა.

თვით ამ მუსიკოსების ცხოვრებაშიაც კი უფსკრული დევს შუა სამზღვრად; მაშინ, როდესაც ჰაიდნი მეფური ცხოვრებით სტკბებოდა და ამა სოფლის მბრძანებელთა კარი მისთვის ღია იყო, მაშინ, როდესაც მოცარტი ეძებდა ძლიერთა მფარველობას და სცდილობდა, რაც შეიძლება ახალ-ახალი ნაწარმოებებით დაეტკბო სმენა თავის პატრონისა, ბეეთჰოვენს შორს ეჭირა თავი ბრწყინვალე საზოგადოებიდგან და რომელი თავადი გაუბედავდა კაპელმეისტერის ადგილის შეთავაზებას თავის სასახლის ორკესტრში; იგი ჰგრძნობდა, რომ პირადი თავისუფლების მოპოებით დაიმონავებდა და შეიქმნებოდა მბრძანებელი საზოგადოებისა.

ესევე დამოუკიდებელი იყო ლუდვიგ ბეეთჰოვენი თავის თხზულებებით.

თუმცა შემეცნების ლიტერატურა დიდხანს ისაზრდოებდა თავს საფრანგეთის საშუალო საუკუნოების გმირული თქმულებებით და ფონ ეშენბახის ლეგენდარულმა პოემებმა აქაც არაერთი და ორი პოეტური ტიპი შექმნეს, თუმცა გერმანელების ხელოვნებამ გადმოიღო კლასიკური ფორმა რომაელების და ბერძნების კულტურისა და შეითვისა მათი ენაც კი, თუმცა გერმანელებმა იტალიელებიდგან მიიღეს მუსიკა მთლად თავისი ფორმებით, მაგრამ ბუმბერაზი თხზულებანი ბეეთჰოვენის გენიოსობისა ნათლად გვიჩვენებენ, რა შინაარსი შეუძლიან ნემეცის ხალხს ჩააქსოვოს და ჩასტიოს ამ გარეგნულ ფორმებში. მარტო ბეეთჰოვენის მუსიკაზედ არ ითქმის ესა, ესევე უსაზღვრო იდეითაა აღსავსე მუსიკა ვაგნერისა; მაგრამ ბეეთჰოვენს განსაკუთრებული პირობები დაუმზადა ბედმა; ვენის ქუჩებზედ მოხეტიალეს განა შეეძლო თვალებით ევრძნო ახმაურებული ქალაქის სიმშვენიერე? სიყრუემ მთლად მოსწყვიტა და დაუხშო უკანასკნელი საშვალებაც კი მოესმინა თავისი მუსიკა მაინც; იგი მარტო თავის გულში, ლანდივით მოვლინებულ ხმებს ელაპარაკებოდა. აი ამ დროს, ამ მდგომარეობაში ჰქმნის იგი დიდებულ ნაწარმოებს,—აქ უფრო გვაოცებს მისი გენიოსობა.

ყრუ მუსიკოსი? და განა შეიძლება წარმოვიდგინოთ მაინც ბრმა მეომარი, ბრმა მხატვარი? ჩვენ ვიცით ისტორიით ბრმა წინასწარმეტყველი. ისევე, როგორათაც ტერეზიისთვის განჰქრა ხილული ქვეყანა და მხოლოდ ფარული მხედველობით უმზერდა იგი ყველა მოვლენათა მიზეზებს, აგრეთვე მუსიკოსი, რომელმაც დაჰკარგა სმენა და ცხოვრების ქარტეხა ვერღა შეარყევდა მის სმენის სიმშვიდეს, მხოლოდ და მხოლოდ ეწაფებოდა გულის ყურით თავისივე არსების საიდუმლოებით მოცულ ქვეყნად მცხოვრებ ხმათა შეტკბილებას, ჰარმონიას.

ამ ნაირად, გენია ამ მუსიკოსისა იდგა ყოველივე გავლენის გარეშე და ამ განცდათა დროს რომ შესაძლებელი ყოფილიყო ჩაგვეხედნა ბეეთჰოვენის არსებაში ტერეზიის უხილავი თვალით, რა თვალწარმტაცი სანახაობა არ წარმოუდგებოდა მაშინ ჩვენს თვალს. მართალია ბეეთჰოვენის შემდეგაც მუსიკაში ბევრი რამ ახალი, ბერლიოზმა თავისი გრანდიოზული საორკესტრო ნაწარმოებებით, ლისტმა—სიმფონიური პოემებით, შუმანმა—რომანტიკით აღსავსე კამერული კომპოზიციებით დასდგეს კიდევ არა ერთი და ორი ბიჯი წინ, მაგრამ მათ მიერ თქმული ახალი სიტყვა, შედარებით ბეეთჰოვენთან, შეადგენს მხოლოდ რაღაც ახალს რომელსაც ვერ შეუძლიან მიაყენოს რაიმე ჩრდილი ამ გენიოსის მოღვაწეობას, როგორადაც დამაგვირგვინებელს სიმფონიურსა და კამერულ სტილის განვითარების მუსიკის ხელოვნებაში. თუმცა მუსიკის ხელოვნებაში არა ერთი სიტყვა ითქვა ახალი, თუმცა ბეეთჰოვენის შემდეგაც დაიწერა არა ერთი ბუმბერაზი ნაწარმოები მაგრამ ამ მუსიკოსის თხზულებები არსებითად დარჩებიან ჩვენთვის მუდამ ახლად, დრომა და ჟამმა იგინი ვერც დააბერა, ვერც მნიშვნელობა დაუკარგა. რა შეიძლება ითქვას „ცი—მოლ" სონატასა (111) და მე-9-ე სიმფონიის შემდეგ ბეეთჰოვენის სიბერეზედ? ამ გენიოსის შემოქმედება ისეთი ძლიერია, რომ სცავს მთლად ბგერათა სამფლობელოს არსებულ ჰანგებს. როცა უსმენ თხზულებებს, უნებლიედ გებადება კითხვა: გაჩენილა კიდევ ბუნებაში სამუსიკო ხმა, ჰარმონიული კომბინაცია ხმებისა, რომ ამ მუსიკოსის ხელი მიწდომოდეს და არ მოეზიდნოს ჩვენთვის საწყავად?

გავიდა 150 წელი, კიდევ გავა მრავალი წელნი და მეცხრე სიმფონია ბეეთჰოვენისა დარჩება ხმატკბილობის შეკრულ კონად, რომლითაც გაჯერდება კაცობრიობა ბგერათა ოკეანეს სივრცეში, რომელიც მუდამ დაუჭკნობელი, სურნელოვანი იქნება, როგორც დაც მაღალი მთის ნაზი ყვავილი. არა მარტო მე 9-ე სიმფონია, არამედ მე 5 ე, მე 7-ე და მე-8 ე სიმფონიებიც სათითაოდ წარმოადგენენ მთლიან პოემებს ბუნებაში გამოძახილი ხმებისას. მისი 32 სონატა დღესაც შეადგენენ ფორტეპიანოს საუკეთესო ლიტერატურას, მისი სასიმო კვარტეტები დღესაც ამშვენებენ კამერულ მუსიკის კონცერტების პროგრამმას.

აი, ამ გენიოს მუსიკოსის დაბადების დღიდან დღეს შესრულდა 150 წელიწადი. მთელი განათლებული კაცობრიობა იდღესასწაულებს ამ დღეს ბეეთჰოვენის პატივსაცემად და მოსაგონად; მაგრამ არა, ეს ცოტაა: გენიოს მუსიკოსის სახელის მოგონებასა და პატივის ცემას დღეს უნდა შეუერთოთ ჩვენი ურღმესი მადლობა იმ უხილავ ძალისადმისაც, რომელიც არ ივიწყებს კაცობრიობას, ცოდვილ ქვეყანას დრო გამოშვებით მოუვლენს ხოლმე, ჩვენდა სანუგეშოდ და დასატკობად, ისეთს მანათობელ ვარსკვლავს, როგორიც იყო დიდი ლუდვიგ ვან-ბეეთჰოვენი.

ი. კარგარეთელი.